

140  
1969

საქართველო  
ბიბლიოთეკა



სამგზაო

4  
1969



ფოტო  
ანზორ  
ჩიგოგიძისა

დღეიდან ნორჩი ლენინელების ყველა საქმეს გაასხივოსნებს იმის რწმენა, რომ გვერდით უღვათ და სიძნელეთა დაქლევაში მებგობრულად ეხმარებათ ძვირფასი ვლადიმერ ილიას-ძე.



„კრებულები“ არსებობს და თვიდან თვიმდე სქელდება. მასწავლებელმა ირინე შეაქო. გონას თვლები გაუბრწყინდა და კიდევ უფრო დაუინებით მიაჩერდა ფანჯრის იქით გაფენილ ცას, რომელსაც ქარი ალგების გაშიშვლებული კენწეროებით გაუთავებლად აწვრავდა, მაგრამ კვალს ვერა და

რელიშვილი, ბიძინა კეკელიძე, გელა წულაძე, თამარ დოლიძე, ნინო სიხარულიძე... მათს გულებში თითქოს თავისთავად მეორდებოდა: „მე, საბჭოთა კავშირის პიონერთა ორგანიზაციის რიგებში რომ შევდევარ, ჩემი ამხანაგების წინაშე საზეიმო დაპირებას ვიძლევი: მხურვალედ შეყვარება ჩემი საბჭოთა სამშობლო...“

ეს დაპირება დიდი ხნის წინათ დღისწავლეს. მერე ლამაზად გადაწერეს და, პაკეტებში სათითაოდ ჩაკეცილი, ნათელა მასწავლებელს ჩააბარეს, რომ თუ რომელიმე მათგანი ოდესმე ნორჩ პიონერთა კანონებს დაარღვევდა, ამ წაწერაში ჩაეხედებინათ და საკუთარი სინდისის წინაშე გაეწითლებინათ.

„ჩვენთან ყველა ბავშვი სანიმუშოა. მართალია, საცდელი კლასია და განსაკუთრებული ყურადღებით გვიქვივიან, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, ჩვენთან მაინც ყველა კარგი იქნებოდა“. ირინემ გონებაში თანაკლასელებს თვალი გადაავლო.

„გელა აღიარებული მხატვარია, წლებანდელ ოლიმპიადაზე პირველი ხარისხის მედალი მისცეს; ირაკლი კავილაძემაც მიიღო მედალი. მარტო ჩვენმა კლასმა იმ დღეებში თერთმეტი ჯილდო წამოიღო. ჩვენს სამხატვრო გამოფენას ხომ ყველა აღტაცებით ათვალიერებს“.

ბევრი კარგი ნახატი კარადაში ინახება. კარადაშია ხეზე ამომწვარი ნაკეთობაც. იგი მინერალების კოლექციების გვერდით დევს. ბავშვები უკვე კარგად ხმარობენ ელექტროამომწველ აპარატებს.

„ჩვენ ძველ მონეტებსაც ვაგროვებთ. ამას წინათ, ერთ მონეტას 230 წელი რომ შეუსრულდა და იუბილე გადავუხადეთ, ო, რამდენი საპატიო სტუმარი გვყავდა მაშინ!..“

ჩვენმა მოსწავლეებმა ხომ თოჯინების თეატრიც დააარსეს, საკუთარი საკლასო თეატრი. თეატრში კი იმდენი საჩხირკედლოა, ყველა დაკავებულია“.

ირინემ მოულოდნელად დაარღვია ღუმელი.

— შენ როგორ ფიქრობ, — შეაჩერა გვერდით მომავალი იამზე მეგრელიშვილი, — ბეჯითმა მოსწავლემ

# ქართული

## წინაშეყვანი

10956

პირველმა ირინემ ჩააბარა ნამუშევარი. მასწავლებელმა გადაათვალიერა. გოგონა ძალიან ლამაზად პყვებოდა იმაზე, თუ ამ რამდენიმე ხნის წინათ როგორ მიიღეს ისა და მისი ამხანაგები პიონერთა რიგებში.

ირინე პატარა მოთხრობებსაც წერს და, ამიტომ, ლამაზი თხრობა მისგან გასაკვირი სულაც არ არის. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ III<sup>3</sup> კლასში ყველა მოსწავლე ახერხებს მოთხრობების წერას. ნათელა მასწავლებელმა პირველი კლასიდანვე შემოიღო საგანგებო ვაკვეთილები, სადაც ბავშვები პატარა-პატარა ამბებს თხზავენ. ირინე კალანდაძის „კრებულო“ მაინც ყველასაგან გამოირჩევა.

სწორედ რომ „კრებულო“! III<sup>3</sup> კლასის ყველა მოსწავლის სახელზე გახსნილია ცისფერაშიანი თვითნახატი გარეკანები, რომლებშიც დროდადრო თავს იყრის მათი „მოთხრობები“. მესამე წელიწადია, ეს

ვერ აჩნევდა. იგი ისევ იმ ლამაზდღეზე ფიქრობდა, რომლის შესახებაც ეს-ეს არის დაწერა. თვალწინ ედგა მაღალი კიბეების ზემოთ გაშლილი ნათელი დარბაზი და სწორხაზზე საზეიმოდ გამწკრივებული თანატოლები. მართალია, ირინემ ყველაფერი წინდაწინ იცოდა, სამდღეოდაც დიდი გულმოდგინებით ემზადებოდა, მაგრამ რაც მაშინ განიცადა, ყოველგვარ წარმოდგენას აღემატებოდა. შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ გოგონამ ლაპარაკის სურვილი დაკარგა. გრძნობდა, რაც არ უნდა ეთქვა, იმ განწყობილებასთან მაინც მცირედ გამოჩნდებოდა.

ამხანაგები კი სათითაოდ გამოდიოდნენ მწკრივიდან, პიონერის საზეიმო დაპირებას წარმოთქვამდნენ, წითელ ყელსახვივებს ჩაიბარებდნენ და კვლავ მწკრივს უბრუნდებოდნენ. ამ დარბაზში ბავშვებმა მრავალი სიტყვა მოისმინეს პიონერის მოვალეობაზე, სამშობლოზე, კომკავშირზე, ლენინზე...

ირინემ მღუმარედ ჩამოიარა კიბეები და ქუჩაში გამოვიდა.

მასთან ერთად ბრუნდებოდა მთელი III<sup>3</sup> კლასი, რომელსაც რუსუდან ხელმძღვანელი და ნათელა მასწავლებელი მოჰყვებოდნენ.

ერთხანს ჩუმად მოდიოდნენ იამზე მეგრელიშვილი, — ბეჯითმა მოსწავლემ

საქართველოს ალკა საზოგადოებრივი მოძრაობის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის კავშირებიანი საბჭოს ყოველთვიური საპროპაგანდა



### ქართული

4 . 5 3 კ ი 5 ი . 1969  
გამოცემის 43-ე წელი

საქ. კვ. სპ. ინ. გამომცემლობა

მისთვის სპ. სპ. სპ.

სამხალხო „მედიკალი ნაბი“. მუ-  
 ზაქონი: ზ. ავალიძე, ლ. ავლიძე.  
 ზედი, კ. ხაბაზიძე, თ. ლი-  
 ლინი.

თუ შეიძლება დაარღვიოს ნორა პი-  
 რეტოთა კანონები?

— ჩემი აზრით, შეიძლება. — მთე-  
 ვი იმზემ — ხომ არის მოსწავლე,  
 რომელსაც ბეჭითად სწავლობს, მგე-  
 რამ უნებია.

— ჩვენთან თუ გვატლება მანაი-  
 რი?

— არა, — თავი გაიქნია იანზემ, —  
 ჩვენთან ყველა წესიერია. ყველანი  
 ერთმანეთს პატივს სცემენ.

— გახსოვს, „ვეთილი ბიჭი“ რომ  
 დავდგით? შენ მოხუცი ქალის როლს  
 თამაშობდი, მე „ვეთლი ბიჭის“, მინ-  
 ძანა კამელე — ბოროტად შევიძას.  
 ირინე წერილებს მისწავალურად გა-  
 ფორმა სანქციალ... იმის მერე  
 ჩვენი კლასი უმცლემდე ყველი  
 საქმეების ჩაღვანა ოცენობის,  
 ურიგო ორ ჩვენთან მართლად არავინ  
 არის, ამიტომ საზოგადო დაპირება  
 უსაფრთხოდ მსწრულდება.

— კვლავ უნებელ განაგრძებს გვა,  
 ვიდრე თავიანი, თბილისის 57-ე სკო-  
 ლაში არ მივიდინე, რომელსაც არა-  
 ყველა და ფალაშელის ქუჩე-  
 ბის გადაკვეთაზე. აქ მათ დიდხანა  
 მშობლები ელდებოდნენ.

21 იანვარი იყო — ლენინის ხსოვ-  
 ნის დღე.

ამ დღით კი, როცა ნათელა მას-  
 წავლელმა პატარებს სუფთა ფრ-  
 ცლები დაურია და საუბარო ლენი-  
 ნის შეხვედრებ ჩამოგდო, მაგვები  
 მიხედნენ, რა უნდა დავქრობო.

ეს ნაწარბი! მოთხოვნების კრე-  
 ბულებში ჩაჯავდება, ისინი იმისა-  
 ხურებენ ამ განსაკუთრებულ პატარეს.  
 მართალია, მათში შეთხზული და გა-  
 მოგონილი არა არის-რა, სამა-  
 გიროდ, დღი სიმამდავლა ჩაბა-  
 ტრული როცა უნებია გავა და დას-  
 რულუბული ყმაველები ამ „კრე-



ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

ბულებს“ ვადახედავინ, ბავშვური  
 მოთხოვნების გვერდით ამ ლამაზი  
 დღის შექმას დაინახავინ.

ნათელა მასწავლებელმა საკლასო  
 ოთახის ფანჯრებზე უძეი ფარდები  
 ჩამოწვია, რომ წერით დაღლილ  
 ყმაველებს გაელო დაევიღებე გა-  
 დაეყოლებინათ.

საკიდრების მახლობლად, კედელ-  
 ზე დაეცეცილი თეფრი ეხურდა, რომ-  
 ლის გაერთა მხარეს აფინა შეჩი-  
 რიათ. იქვე მოზრდილი ყუთი იდგა,  
 თყინებოთ სესვი, რასაკვირველია  
 შეიძლებოდა თოყინებითაც გართო-  
 ბოლევინ, ამ კედელს, პანინო დაე-  
 რიათ იქვე! ფანჯრასთან რომ ბზი-  
 ნავდა, მაგრამ მასწავლებელმა ამჭე-  
 რად ფელის ჩვენება არჩია.

შესვენებაზე ბავშვების ნათევე-  
 რები გადაიკითხა. „კრებულში“,  
 ჩვენდებრივი, არკრით სტრიქონი  
 არ სწორდებოდა. ისინი ხომ იმბტომ  
 არსებობდა, რომ თვითველი მოს-  
 წავლის ზრდის თავისებური სურათი  
 შემოენახა. პოლა, რა საქითაა გას-  
 წორება. ყმაწვლები, როცა დახრ-  
 ებინა, თვითონვე იპოვინან ამ შეც-  
 დოების და გაიღებენ.

ირინემ და იანზემ უცანა რივე-  
 ბისკენ გასწვს, სადაც დიდგონის  
 მილოტიმ ბავშვები მერბენი ჩა-  
 ექმეულევინ. წინა რიგში კი თა-  
 ვისიკულად დატრევიბნათ.

ისინი უკვე პოთერულ რაზმად  
 იწოდებოდნენ. ნომერიც კქონ-  
 დათ — მეფარმეიკი. ვაღებულე-  
 ბიკ ეცხრაათ თემცა ამ ვაღებუ-  
 ლებში არ იყო ნათქვამი თანებზე  
 და ხელბზე ვაწვავლოთ ამ კლასში  
 ნუნებამ არ წერენ. სამაგიროდ,  
 წელწალში რაჯენ, ნათელა მასწავ-  
 ლელმა მოსწავლეების გრცელ და-  
 ხასიათებას ადგენს. დაწვრილებით  
 ახარცებას, ვინ როგორ იქცევა, რა  
 ემარჯვება, რა იცის ამა თუ იმ სა-  
 ვანში, რომელი თემა უჭირს, რას  
 უნდა მოაქციოს სურადლება მო-  
 ვადაში...

III კლასი უნიშნებოდ, მაგრამ  
 საუბრობდა წყარობის, სანიშნო-  
 ცისამ იქცევა მათ უაღე წაღეს სხი-  
 ვისანი კარი პოინერული ორგანიზა-  
 ციას, რომელი დიდი ლენინის სა-  
 ხელობასა, მეფარმეიკე რაზმის  
 თვითველი წერტი ფოცავით უფრ-  
 თიხილდამ ამ დაპირებას, რომელიც  
 ლენინის დრბაზში წარმოთქმეს:  
 „ის ეცხოვრებ. ვიზრობებ და ვის-

წავლა, როგორც დღმა ლენინმა  
 განაღვრია, როგორც კომუნისტ-  
 რი პარტია ვასწავლის“.

თავისახიზიეთი გაუფრთხილდ-  
 ბიან ალისხევი ყელსავეებს. ამიერი-  
 დან იგი მათი ცხოვრების თანამ-  
 გზაება და მათი ყოველი საქმე ამ

თანამზავრის თვალთაც უნდა  
 ვაწინოს, იგი ხომ სენითი შემოვიდა  
 მათს ცხოვრებაში. თვითველმა პო-  
 ნერმა ყოველდღიური „ანგარიში  
 უნდა ჩაბაზოს“ მას და, მის წინაშე,  
 ისევე, როგორც საკუთარი სინდისი  
 წინაშე, პირანველი გამოვიდეს.



კომა სანაძე

# პიუსი

## ნიუსი

მ. კალიშვილი

ცხელ დღეებში ვაჭარს პირდაპირ ნავმისადგომზე, სიგრილეში უყვარდა ჩაის სმა. შეექცეოდა და თან იქაურობას მესაკუთრის თვალით ათვლიერებდა. აქ ფარდულქვეშ ადგილი ჰქონდა შეგულებული, ედგა მაგიდა, ზედ მყუდროდ თუხთუხებდა სამოვარი, თეთრად ქათქათებდა გაბერილი ჩაიდან. რამდენიმე ნაბიჯზე დინჯად, აუჩქარებლად მოედინებოდა ვოლგა, მოაგორებდა მზით აელვარებულ ტალღებს.

ვაჭარი დღესაც, ჩვეულებრივ, ამოჩემებულ ადგილზე იყო. ლაქია ბიჭმა წინ თვალისმომჭრელად გაპრიალებული სამოვარი დაუდგა. ნავმისადგომი ოდნავ ირწეოდა, ფიცრები კრიალებდა. ნავსაბმელთან პატარა ხომალდი გადბრეცილი მილიდან ორთქლს ბოლქვებად უშვებდა. კარჭაპზე ფეხშიშველი მეზღვაურები ფუსფუსებდნენ და სიცხისაგან გათანგული მგზავრები ნელ-ნელა იკრიბებოდნენ.

— გესმით, ბატონო?! — შარვალაკაპიწებული მეზღვაური მაგიდასთან გაჩერდა. — ახლა ნავებთან რომ ჩამოვიარე, დავინახე ვიღაც ახალგაზრდა მენავებებს ურიგდებოდა, მეორე ნაპირზე გადამიყვანეთო — „მეჩქარება, კარჭაპის დაცვის დრო არა მაქვსო“, ეუბნებოდა. ისინი ჭოჭმანობენ, ეს კი თავისას გაიძახის: „აქაოდა, არა აქვს ამის უფლება, ვისიმე გადაყვანა ავიკრძალოთო... მდინარე არავისი კერძო საკუთრება არ არისო“.

ვაჭარი არც შემობრუნებულა, ზანტად ჰკითხა:  
— სულ ეგ არი? წადი, შენს გზას ეწიე!  
ქვემოთ კი, ნაპირის გაყოლებით, სადაც გაფისული ნავები ება, ვიღაც ღიაფერის ხალათიანი ახალგაზრდა დაბეჭითებით უმეორებდა ჭალარაულვაშიან, ღრმა ნაოჭებით სახედალარულ მენავებს:

— გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ არავის არა აქვს უფლება ავიკრძალოს ხალხის გადაყვანა! ჩვენთანაც კი არ არსებობს ასეთი კანონი!

— აბა ჩვენ სადა გვაქვს, ბატონო, მაგის განჩინების თავი, — მიუგო ჭალარაულვაშიანმა. — ეგ მოიჯარადრეა, ქალაქს ფულს უხდის და კანონიც ეგ არის.  
ახალგაზრდამ მოუთმენლად შეჰყარა წარბები.

— მაგას რომ იჯართა აქვს აღებული ხალხის გადაყვანა, ეს მაგისი საქმეა, მაგრამ სხვებს რომ გადაყვანა აუკრძალოს, ამის უფლება, გიმეორებთ, რომ არა აქვს! თქვენ ყველა საფუძველი გაქვთ ჩივილისათვის!

ჭალარაულვაშიანმა ჩაფერფლილ დახვეულ პაპიროსს დააფურთხა, მაგრამ ნამწვი წყალში არ ჩააგდო (დედა ვოლგას პატივი უნდა სცე), ქვიშაში ჩასრისა.

— მას სქელი ჯიბე აქვს, მოსამართლესაც იყიდის! ხომ გაგიგონიათ, ბატონო, დათვი თუ მოგერიოს, ბაბა უთხარიო!

— არ არის სწორი! — ჯიუტად მიუგო ახალგაზრდამ, — მან დაგაშინათ. თვითნებობაა, ამას მტკიცება არ უნდა! თუ უჩივლებთ, იძულებული იქნებიან დასაჯონ!

ჭალარაულვაშიანმა მხოლოდ ხელი ჩაიქნია, არაფერი უთქვამს.

მეორე მენავე, დაგლეჯილი ქული რომ ეხურა, ადგილზე ტოკავდა და როგორღაც გაუბედავად იყურებოდა ნავმისადგომისკენ.

— წავიდეთ?! — ჰკითხა მას ახალგაზრდამ.  
— სულერთია, მაინც დავაბრუნებს, ამას ლაპარაკი არ უნდა! — ყოყმანით წარმოთქვა მენავემ.  
— აი წავიდეთ და ვნახოთ! აბა გაბედოს!

ახალგაზრდამ პასუხს არც კი მოუცადა, ღონივრად ჰკრა ხელი ნავს, შიგ ჩახტა, და მარდად, ისე, რომ წონასწორობა არ დაუკარგავს, მიადწია კიჩომდე. მენავემ რამდენიმე ნაბიჯი წყალწყალ გაიარა, თან თავს იქნევდა, თითქოს უკვირდა, როგორ დავთანხმდითო, და მერე ისიც ნავში გადაძვრა. აჭრიალდა ნიჩბის პალოები, საამოდ ათქაფუნდა წყალი ნიჩბებქვეშ. მგზავრი დაფიქრებული იცქირებოდა წინ.

ამ გოლიათი მდინარის ლალ სივრცეს, ამ უკიდევანო შორეთს ის ფეხისადგმის პირველი დღიდანვე ხედავს, მაგრამ თვალი ვერასოდეს გაძღება მათი ცქერით.

ნავი სწრაფად მიიწევდა წინ; ისინი უკვე საქაო მანძილით მოსცილდნენ ნაპირს, მოპირდაპირე მხარე კი ჭერ კიდევ შორს იყო. უცებ მენავემ ძლიერად შემოშკრა ერთმანეთს ნიჩბები.

— მორჩა! გადავედით უკვე! — გაჯავრებით დაიყვირა მან. — საით იყურებით! ნავმისადგომს შეხედეთ!

ნავიდან კარგად ჩანდა ნავმისადგომის კიდეს როგორ მოადგა გრძელხალათიანი წვეროსანი და ხელები ტუჩებთან მიიღო.

— ეჰე, ჰე, ჰე, ჰე! — მოესმათ მათ. — დაბრუნდით უკან!

— ეს რა, თვითონ იწუნებს თავს? — თვალების მოჭუტვით თქვა ახალგაზრდამ.

— აბა ვინ? თვითონ საკუთარი პერსონით!.. ხომ გესმით, როგორ ღრიალებს, მთელ ვოლგას სწვდება მისი ხმა! მებატრონეა, აბა რა!.. — მენავემ ცალყუბად გაიღიმა. — კაცმა რომ იკითხოს, ჩვენ რაში ვუშლით ხელს?! მთელი ხალხი მაგას აწყდება და სულერთია კაპიკის შოვნის საშუალებას არ გვაძლევს... მაინც ყო-

ველთვის ეგ გამოდის მართალი. მთელი ძალა მაგის ხელთ არის.

ნავმისადგომზე მდგარმა კაცმა ხელების ქნევა დაიწყო, თითქოს სიგნალს აძლევსო.

— ე-ეი... დაყრუვდი?! აბა მოუსვი უკან!

— წინ! — მოკლედ მოსჭრა ახალგაზრდამ. — მეორე წყვილი ნიჩბები მაინც უოფილიყო!

— აზრი არა აქვს! — ნაღვლიანად თქვა მენავემ. — ახლა ნახავთ უფასო წარმოდგენას... შეხედეთ, რამდენი ხალხი მოგროვდა და კიდევ მორბიან ყოველი მხრიდან!

— ეგ არაფერი! მოუსვი ნიჩაბი!

მენავე თავისდაუნებურად დაემორჩილა ამ ხმას და განაგრძო ნიჩბების მოსმა. ის იყო განვლეს მდინარის შუა წელი, რომ პატარა ხომალდის მილის თავზე თითქოს ღრუბელი აენთო. მოისმა საყვირის მოკლე შეკვივება და ხომალდი სწრაფად გაცუსცუსდა. უკან მოითოვა ტალღების თითქოსდა უძრავი ნაკეცები.

ხომალდის გემბანზე იდგნენ მეზღვაურები მრისხანედ შემართული ბარჯებით — ნამდვილი აბორდუი მზადდებოდა.

ვილაც მამაკაცი, ისიც ფეხშიშველი და შარვალია-პიწებული, ოღონდ მეზღვაურის ქუდიანი — როგორც ჩანს, კაპიტანო — განკარგულებებს იძლეოდა წარმოუდგენლად ჩახლეჩილი, ნამთვრალევი ბანით:

— საჭე მარჯვნივ! სრული სვლა!

როდესაც ნავამდე ორიოდე საუენილა დარჩა, კაპიტანმა ხრინწიანად გასძახა:

— უკუსვლა! სდექ!

მანქანამ რამდენჯერმე ყრუდ დაიკაკუნა და გაჩერდა. ხომალდი თითქმის ზედ მიადგა ნავს. რამდენიმე ბარჯი იმავ წამში ჩაეჭიდა მის კიდეებს.



— აქ აკრძალულია მგზავრების გადაყვანა! — კატეგორიული ტონით თქვა კაპიტანმა. — გთხოვთ გემბანზე ამოხვიდეთ.

— თქვენ არ გაქვთ შეჩერების უფლება! — სწრაფად მიუგო ახალგაზრდამ. — ამისთვის პასუხისგებაში მიგცემთ.

— ეს ჩვენ არ გვეხება! ჩვენ პატარა ხალხი ვართ! როგორც პატრონმა გვიბრძანა, ისე ვიქცევით! მეორე ნაპირზე გადასვლა გნებავთ? მაშინ აქეთ მობრძანდით! ამის იქით ნავი ველარ წავა!

ახალგაზრდამ მენავეს ფული მისცა; გემბანზე ავიდა თუ არა, მაშინვე უბის წიგნაკი ამოიღო და მოითხოვა, მთელი შემადგენლობის გვარები მითხარიო.

— ეს შეგვიძლია! — გულგრილად უპასუხა კაპიტანმა. — რახან ვსურთ, დაწერეთ!

მგზავრი ნავმისადგომზე რომ მიიყვანეს, მასთან თვითონ მებატრონემ ინება მიბრძანება და შემწყალებლური დიმილით უთხრა:

— ზედმეტად თავს რატომ იწუნებთ, ბატონო?! მოგროვდება ხალხი საჭირო რაოდენობით და, წესისა და რიგის მიხედვით გადაგიყვანთ. მანამდე კი, ხომ არ ინებებთ ჩემთან ერთად ჩაის შეექცეთ, თაფლითა და ბლითებით...

მგზავრს თითქოს არც გაუგონია მიპატიუება:

— ვინ დაადგინა ეგ, როგორც თქვენ ბრძანებთ, წინსი?!

— მე! — ვაჭარი ისევ ილიმებოდა. — მე ვიხდი საიჯაროს და ამდენად არც შემიძლია ნება დავართო! ამიტომ არავის მივცემ ამის ნებას!.. მაშ ჩაის არ მიირთმევთ? როგორც გენებოთ!

ხალხი კი სულ მოდიოდა ნავმისადგომისკენ, ტომრებით, ფუთებით, შულდაკებით. რამდენიმე დატვირთული ფორანიც მოადგა. ბოლოს მეზღვაურებმა, როგორც იქნა, დადგეს ფართო საბიჭელები და დაიწყო ჩახსდომა. ხომალდმა დაუსტვინა და არახრახნა...

— ა-უ-შვითი! — გაისმა ხრინწიანი ბრძანება.

ხომალდმა დაჭიმა აჭრიალებული ბაგირი და კარჭამი მეორე ნაპირისაკენ დასძრა.

ვაჭარი ფარდულქვეშ დაბრუნდა. ლაქიამ სამოვრისათვის გავარვარებული ნაკვერცხლები მოიტანა. მაგიდას ნაცნობი მოხელე შემოუჭდა. იმანაც უყურა როგორ დაიჭირეს ნავი და ახლა მასპინძელთან ერთად ამ ამბის განსჯას მოჰყვა.

— შარიანია ეგ ვილაც! — ამბობდა ვაჭარი და თან ლამბაქზე დასხმულ ცხელ ჩაის უბერავდა. — ჭერ პირზე რძე არ შეშრობია და ჩემობს კი!

— ახლა რალაც ძალიან მომრავლდნენ მაგისთანები! — მოხელე ჩაის ზრდილობიანად, კოვზით შეექცეოდა. — მაგრამ რა აზრი აქვს! ფუჭი გარჯაა და მეტი არაფერი... აი მოგორავს პატარა ტალღა წყალზე, იმასაც მალე უნდა თავის წამოწევა, მაგრამ მიასკდება ნავმისადგომს და... ამინ, მისი აღსასრულიც ეგ არის!

მოსაუბრეებს მალე დაავიწყდათ მგზავრიცა და ნავიც, ქალაქის ახალ ამბებსა და ჭორებს შეჰყვნენ. არცერთი მათგანი არ დაიჭერბდა, რომ გეთქვათ, დადგება დრო და ამ ამბავზე მთელი ქალაქი ალაპარაკდებაო.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ვაჭარს ნაცნობმა შეატყობინა, შენზე სამარადან საჩივარია შემოსული, თვითნებობას გდებენ ბრალადო. პირველად ვაჭარი ვერც კი მიხვდა რაზე იყო ლაპარაკი. ათას რასმეს აკე-

# უღიანოვსკი სახლია

## ბრიგოლ ნოზაძე

ხალხური მთხმელი

უღიანოვსკი სახლია,  
კობტა, ლამაზი ნათელი,  
იქ დაიბადა ლენინი—  
სიმართლის გამომხატველი;  
დაამობილა რუსებთან  
უკრაინელი, ქართველი.

უღიანოვსკი სახლია,  
(სახლი არ არის მაღალი),  
იქა ცხოვრობდა ლენინი,  
ფოლადზე უფრო მაგარი.  
ხალხს დაუბრუნა სინათლე  
და თავის ნამაგარი.

თებდა, ათასი ხლართიდან იძვრენდა თავს, მაგრამ ასეთი რამ ჭერ არ შეხვედრია.

მას აუხსნეს, რას ნიშნავდა ეს საჩივარი და ისიც უთხრეს, რომ უჩიოდა ვინმე სამარელო უღიანოვი, ნაფიცო ვეჭილის თანაშემწე. ახლა კი გაახსენდა ვაჭარს ახალგაზრდა, ჯიუტი სახე, მოჭუტული თვალების დაუინებული გამოხედვა, მოხელის ნათქვამი ტალღაზე და ჩაეცინა: „ერთი ამას დამიხედეთ, შეშინება არ მომინდომა!“ მას არაფრით არ ეჭერა, რომ ლატაკი მენავეების გამო შეიძლება სასამართლო საქმე აღიძრას. მაშინ ვაჭარს უფრო გასაგებად აუხსნეს, რომ, მართალია, საქმე უბრალოა, მაგრამ თვითნებობის მუხლით „გადის“, რომელიც ითვალისწინებს ერთი თვით ციხეში ჯდომას, და არ შეიძლება ამისი ჭარბით შეცვლა. ზედმეტი ხლაფორთი რომ არ დასჭირებოდა, დამცველიც უჩივის ვინ აეყვანა.

დამცველი, ეტუბოდა, გამოცდილი, დიდი გაქეჩილი ვინმე იყო, განხილი ფრაკი ეცვა, ბურნუთს ყნოსავდა. იმანაც განუმარტა კლიენტს, რომ საქმე არ არის დიდი, თან მრავალმნიშვნელოვნად დაუმატა, ღმერთი მოწყალეაო. ავანსი მიიღო და დანიშნულ დროს საქმის გარჩევაზე გაემგზავრა. ეს თვითნებობის საქმე შორეულ მაზრაში გადაგზავნეს, წარმოშობით იქაური იყო მოპასუხე, როცა დამცველი ერობის უფროსთან გამოცხადდა, ბრალმდებელი უკვე იქ დაუხვდა და თავაზიანად მიესალმა.

— სამარადან ჩამობრძანდით, კოლეგა? შორი გზაა. ვგონებ, სულ ცოტა, ასი კილომეტრი მაინც იქნება. და მერე ჩვენი, რუსეთის გზებს არ იტყვიო!

ჩამოსულმა მოკლედ მიუგო, რომ გზა ნამდვილად შორია, მაგრამ საუბარში არ გაჰყვა. მალე ერობის უფროსის კაბინეტში გამოიძახეს. წარმოსადგემა მამაკაცმა, თვალის უბები შეშუპებული რომ ჰქონდა, უჩიოდა საჩი-

ვარი წვრილმანი საყოფაცხოვრებო საქმეა, არ ღირს გავიადება და მშვიდობიანი მორიგეობა სჯობსო.

ჩამოსულმა მიუგო, ამჯერადაც და მომავალშიც კატეგორიული წინააღმდეგი ვარ მხარეების მორიგებისა და სასამართლოს მოვითხოვ არსებული კანონის მიხედვითო. რამდენიმე ხნის შემდეგ ერობის უფროსმა გადაცნო თავისი გადაწყვეტილება: საქმის განხილვა გადაიდოს ზოგიერთი გარემოების დაუზუსტებლობის გამო.

მგზავრობიდან დაბრუნებულმა დამცველმა თავის კლიენტს უამბო ყველაფერი, რაც კი ნახა და მოისმინა. ვაჭარი ჩაფიქრებული იჩივავდა წვერს და სულ ერთსა და იმავეს ეკითხებოდა:

— არა, მითხარი, რისთვის ცდილობს ასე? არ მესმის, ღმერთმანი! მე ფულს ვიხდი, შენ ხლაფორთობ, უფულოდ ხომ თითსაც არ გაანძრევდი, ასე არ არის?! ის კი თავის ფულს ხარჯავს, დროს ჰკარგავს... ეს რა არის?!

— ახალგაზრდა, გული ერჩის! — მიუგო დამცველმა მხრების აჩეჩვით. — ამბიცია და, კიდეც, ვინ იცის რა! მაგრამ მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო, ხომ გავიგია? ერობის უფროსი ასწავლის ჭკუას! კარგახანს იქნება ეს საქმე მაუღქვეშ ამოდებული...

დამცველმა იცოდა, რასაც ამბობდა. უკვე გვიანი შემოდგომა იდგა, ვოლგას თოში ბოჭავდა, გაყინული ნაპირები გადაპარსულს ჰგავდა, როცა ერთ ავღრიან დღეს მხარეებმა გამოძახება მიიღეს.

ამჯერად ვაჭარი შეშფოთდა, გული გაუწყალდა დამცველის მოლოდინში.

— ერობის უფროსმა მეორედ გადადო საქმე! — ხელების სრესითა და კმაყოფილი სიცილით შეხვდა მეორე დღეს დამცველი. — მაინც მოძებნა საბაბი! მაგრამ უნდა გითხრაო, რომ დიდი აუტანელი ვინმეა ის სამართიანელი. — მის ხმაში რაღაც ალტაცების მსგავსი ისმოდა. — გამოცხადდა მთლად სველი, ტალახში ამოსვრილი, ერთი ადგილიც კი არ ჰქონდა მშრალი. სამარადან ჩამოსვლა ახლა რა საძნელოც არის, თვითონაც კარგად მოგეხსენებათ. მსოფლიო წარღვნაა!.. ის კი, თითქოს ვერაფერს ამჩნევს. ისევ შესთავაზეს მორიგება, — არაფრით არ ქნა! მაგრამ არა უშავს, ერობის უფროსთან სიარულით გაბეზრდება და ბოლოსდაბოლოს თავს დაგვანებებს.

ვაჭარი დუმდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სწორ ადგილზე მიმავალს ერთბაშად შუბლი რაღაც უხილავისთვის, მაგრამ ქვასავით მაგარისთვის მიერთყას.

დრო კი მიდიოდა. ვოლგა უკვე დიდხანია ყინულის ჯავშანში იწვა, გეგონებოდა, ამ ვრცელ თეთრ ველზე არასოდეს უვლიათ ნავებსო. თვით ნავმისადგომიც ზღაპრულ ყინულის სახლს ჰგავდა.

ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე ნაფიცო ვეჭილის თანაშემწეს, ვლადიმერ ილიას ძე უღიანოვს, ერობის უფროსის უწყება გადასცეს. შინაურებმა იცოდნენ ვაჭართან მისი დავის ამბავი. დედა შეპყურებდა შვილს, რომელიც სტუმარს ჭადრაკს ეთამაშებოდა, და შეშფოთებული ფიქრობდა, რომ ისევ უძილო ღამე ელის, ისევ გრძელი გზა აქვს გასავლელი ჭერ მატარებლით, მერე ცხენითა და ფეხით. იცოდა, რომ

# წინააღმდეგობის საბრძოლველად

არავითარ შეგონებას არ დაიჭერებდა, მაგრამ არ უყო გულმა და უთხრა:

— დაგენებებინა თავი იმ ვაჭრისთვის, ვალოდია! ტყუილად გაივლი ამხელა გზას, გაწვალდები.

— არა, უნდა წავიდე, დედა, — ტკბილად უთხრა შვილმა და ჭადრაკის დაფას მწერა მოსწყვიტა, — საქმეს ბოლომდე უნდა მიყვანა! ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. რამდენიც არ უნდა გადადონ, ბოლოს მაინც უნდა გამოიტანონ განაჩენი. და ამ ამბავს ათასობით ადამიანი, მთელი ქალაქი გაიგებს, ძალიან სასარგებლო გაკვეთილი იქნება. ერობის უფროსის ტაქტიკა გასაგებია — გააჭიანუროს, გადადოს, რადგან სხვა სვლა არა აქვს... ისევე, როგორც თქვენ, — გაუღიმა მან თავის პარტნიორს და ხმამაღლა გამოაცხადა: — შამათი!.. მაგრამ ისინი ამ ტაქტიკით ვერ მომერევიან... ოღონდ ეს არის, მატარებელი დილაადრიანად გადის და ღამით მომიწევს ადგომა.

გაზაფხული იდგა. გათხლებული, გამდნარი ყინული დინჯად მოცურავდა აქოჩრილ წყალზე. ლოდები წუნარი შრიალით ედებოდა ერთმანეთს, სველ მინდვრებს ორთქლი ასდიოდა. ნავიგაცია ჭერ არ დაწყებულყო, ხომალდების საყვირები ჭერ მხოლოდ ხმას იწმენდნენ და ხრინწიანად ებასუხებოდნენ ერთმანეთს. ნავმისადგომსა და საგუბარზე ყინულს ამტკრევდნენ. გადაყვანა უკვე დაწყებული იყო.

მთელ ფლოტილიას გადაჰყავდა მგზავრები მეორე ნაპირზე. აქ მეთევზეთა მძიმე, სოლიდური ნავებიც იყო და სწრაფი, პატარა ნავებიც. და როგორც კი სადმე წამოიწყებდნენ ლაპარაკს, უმაღვე ახსენებდნენ ვაჭარს, ნავმისადგომის მფლობელს, რომელიც ახლა ციხეში იჯდა.

შემოდენძილქუდიან მენავეს თავი გმირად წარმოედგინა. ის ალბათ უკვე მეთევზე ჰყვებოდა, როგორ გადაჰყავდა მგზავრი, რომელმაც ეს ვაჭრუკანა სამართალში მისცა. ჰყვებოდა და თან სულ ახალ-ახალ საღებავებს უმატებდა.

— ჩვენებურია — ვოლგისპირელი! შეხედავ თუ არა, შეატყობ! ნამდვილი გოლიათია, ხმაც ომახიანი აქვს. რომ შემომიძახა, მოუსვი ნიჩაბიო, — ნიჩბები თავისთავად ამოძრავდა.



— მოიცა, ვაჭარი დიდხანს არ იჯდება ციხეში, გამოვა და გიჩვენებთ სეირს! თავბელს გაწყველინებთ!

მენავემ ექილნურად გაიცინა.

— ვერა, ვაჭარს ჩაი ყელზე დაადგა. მეტი აღარ მოუნდება ციხეში ჩაჯდომა! თუ კიდევ რამეს გაბედავს, ჩვენ იმას ვუჩვენებთ! — მენავემ ერთი ღრმად, მთელი მკერდით ჩაისუნთქა ჰაერი და ხრინწიანად გასძახა: — უკუსვლა! სდექ!

## ლენინის ორდენი



ჩვენი სამშობლოს ეს დიდი ჯილდო — მამაცობის, შრომითი გმირობისა და დიდი ლენინის საქმიანადმი ერთგულების სიმბოლო, ყველასათვისაა ცნობილი.

სტატუტის თანახმად, ლენინის ორდენით ჯილდოვდებიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკათა კავშირის ცალკეული მოქალაქენი, კოლექტივები, საწარმოები, ქალაქები, რესპუბლიკები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ლენინის ორდენით განსაკუთრებულ შემთხვევაში ჯილდოვდებიან აგრეთვე უცხოეთის მოქალაქენიც. ლენინის ორდენი გადაეცემა იმ პირებს, ვისაც მიეკუთვნება საბჭოთა კავშირის გმირის ან სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ორდენი შემოდებულია 1930 წლის ნაპრილს, ვ. ი. ლენინის დაბადების მე-60 წლისთავის წინა დღეებში. პირველად ეს დიდი ჯილდო მიეკუთვნა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“. 1930 წლის 23 მაისს სრულიად საკავშირო ალკკ მებრძოლი ორგანოს „კომსომოლსკაია პრავდის“ არსებობის 5 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ საზეიმო სხდომაზე მ. ი. კალინინმა გამოაქვეყნა ბრძანებულება კომკავშირული გაზეთის ლენინის ორდენით

დაჯილდოების შესახებ. გაზეთმა დიდი როლი შეასრულა სოციალისტური მშენებლობის ორგანიზებასა და ახალგაზრდობის აღზრდაში.

მას შემდეგ 38 წელი გავიდა.

დღეს ლენინის ორდენს ნახავთ რესპუბლიკების (საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, მაგალითად, მიღებულ იქნა აქვეს ორი ლენინის ორდენი), გმირი ქალაქების, ქარხნების, შახტების, კოლმეურნეობების დროშებზე. იგი კიაფობს მუშისა და ჯარისკაცის, კოლმეურნისა და რევოლუციის ვეტერანის, ექიმის, პედაგოგის, ინჟინრის, კოსმონავტისა და მრავალი სხვა საუკეთესო საბჭოთა ადამიანის მკერდზე.

## საერთაშორისო ლენინური პრემია



საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტი ყოველწლიურად, პირველ მაისს, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის დიდ ჯილდოს გადასცემს დედამიწაზე მშვიდობისა და მეგობრობისათვის მებრძოლებს.

ამ პრემიის ლაურეატთა შორის არიან ყველა რასის წარმომადგენლები, ათეისტები და მორწმუნენი, სხვადასხვა პარტიათა წევრები, გამოჩენილი სახელ-



მწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწენი, მათ შორის: ფრანგი მეცნიერი ფრედერიკ ჟოლიო-კიური, საბერძნეთის ეროვნული გმირი მანოლის გლეზოსი, ზანგ, მწერალი უილიამ დიუბუა, გამოჩენილი ბრაზილიელი არქიტექტორი, ქალაქ ბრაზილიის პროექტის ავტორი ოსკარ ნემეიერი, იაპონიის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე კაორუ ოტა, ესპანელი პოეტი რაფაელ ალბერტი და შესანიშნავი დანიელი მხატვარი ჰერლუპ ბიდსტრუპი. ესენი არიან მშვიდობის არმიის მტკიცე ჯარისკაცები, რომლებიც იბრძვიან ჩვენი პლანეტის ადამიანთა ნათელი მომავლისათვის, მათი ცხოვრება გმირობაა. ამაზე მე-

ტყველებს ლაურეატთა მკერდზე მბრწყინავი ლენინის პროფილიანი ოქროს მედალი.

**ლენინური პრემია**



ყოველწლიურად, 22 აპრილს, საბჭოთა ხალხი აჯამებს მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის დიდ მიღწევებს. მათ, ვინც განსაკ-

უთრებულ წარმატებას აღწევს ამ დარგებში, ენიჭება ლენინური პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება. ლენინური პრემია მინიჭებული აქვს ბევრ გამოჩენილ მეცნიერს, გამოგონებელს, წარმოების ნოვატორს, მწერალს, მხატვარს, მსახიობს, კინომუშაკს, მათ შორის აკადემიკოსებს: ლ. ლანდაუს, ვ. ფოკს, ა. იოფეს, ვ. ვოლგინს, კ. ანდრიანოვს, ბ. პონტეკორვოს, ი. ვეკუას, პროფესორ გ. მელიტიშვილს და სხვებს, რომელთა თეორიულმა და ექსპერიმენტულმა აღმოჩენებმა თუ გამოკვლევებმა მეცნიერებაში ახალი გზები გაიყვანა.

ლენინური პრემია მინიჭებულ აქვთ აგრეთვე ცნობილ საბჭოთა მწერლებს — მიხეილ შოლოხოვს, ალექსანდრე ტვარდოვსკის, მირზო ტურსუნზადეს, მაქსიმ რილსკის, ლეონიდ ლეონოვს, სამუელ მარშაკს, სერგეი სმირნოვს, ნიკოლოზ პოგოდინს; კომპოზიტორებს: დიმიტრი შოსტაკოვიჩს და არამ ხაჩატურიანს; ბალეტის გამოჩენილ ოსტატებს — გალინა ულანოვასა და ვახტანგ ჭაბუკიანს; მსახიობსა და რეჟისორს სერგეი ბონდარჩუკს და საბჭოთა ხელოვნების სხვა მრავალ მოღვაწეს.

მ ა მ უ მ ე ე ბ უ რ ი მ ვ ი ლ ი

**ხუთი სურათი**

რიგითი ჯარისკაცის ბონდარჩუკის მიერ სოლიდურად მოკლულ ბარბანულ ოფიცერს ჯიბეში აღმოაჩნდა ხუთი ფოტოსურათი, რომელთაზეც აღაპყდელი იყო ზოია კოსმოდემიანსკაიას სიცოცხლის უკანასკნელი წუთები, როცა იგი ფაშისტებს სახრჩობელაზე აჰყავდათ.

ჯიბეში გედო ხუთი წამება და დასცინოდა შენს გულგრილობას; ჯიბეში გედო ხუთი წამება — შენი ნამუსის ხუთი ტრილობა.

ხუთ დამდას ჰგავდა სურათი ხუთი, მაგ შენს გაყინულ სულზე დარტყმული; ხუთ დამდას ჰგავდა სურათი ხუთი — შენი გართობის ხუთი დასტური.

შენ სიყვარული გედო ჯიბეში ამ თბილი მიწის, ამ მშვიდი ზეცის... შენ სიყვარული გედო ჯიბეში და სიძულვილის გეკიდა ცეცხლი.

ჩვენს ერთგულებას ჰკიდებდით თოკზე, თავს იწონებდით მერე ლაჩრობით... ზოიას რწმენას ჰკიდებდით თოკზე, ზედ კი — საკუთარ სინდისს ახრჩობდით.

**აქ...**

აქ ოცნება მაქვს დაბედებული, აქ ჩემი ყრმობის დრომ გაიბრინა, აქ გრიგალივით დაფეთებული თეთრი სულორი ხევი მიფრინავს.

აქ თამამ ტალღებს გვეთედი მხარულით, აქ მზე ზვირთებში ენთო კოცონად, მამულის ფერმა და სიხარულმა პირველად ლექსში აქ გამოჟონა.

**მე წარმოვიყვებ...**

(ომის დღეების გახსენება)

მე წარმოვიდგენ გაჭვარტლულ ბუხარს და დედის თვალებს, ღადარში მზირალს, მე წარმოვიდგენ გაჭვარტლულ ბუხარს: დახეულ შარვლით ბუხართან ვზივარ.

მე წარმოვიდგენ სოფლის ბაზრობას და ნაოცნებარ სათამაშოებს... მე წარმოვიდგენ... და ჩემს ბავშვობას მოწყენილ თვალებს ვედარ ვაშორებ.

# მეუფე

მოთა  
დავითაშვილი

მხატვარი  
ზურაბ ზორჩიძე.

მ ო თ ხ რ ო ბ ა

წისქვილთან ბიჭები გროვდებოდნენ.

— ნოდარ, შვილო, ადექი? — დამიძახა ბებიაჩემმა.

— რა იყო, ბებო?

— აგე, ბაღლობა გროვდება, შენც ხომ გინდოდა მაყვალზე წასვლა?

— ჰო, ვხედავ. სანამ პირს დავიბან, რამე მომიმზადე. ბებია პური გამიხვია და მაგიდაზე დადო.

— მაყვალი რაღაში მოვკრიფო?

— ქეთლი წაიღე, შვილო.

პური ქეთლში ჩავდე და წასვლა დავაპირე.

— დაიცა, — შემაჩერა ბებია, — დათოს დაუცადე, ხომ იცი, ეგენი რა ამოსავარდნებიც არიან, — მითხრა და წისქვილთან შეკრებილ ბიჭებისაკენ გამახედა, — მარტოკას გიუცხოებენ და იმდღევანდელივით ბლავილით გამოგიშვებენ შინა.

დათო, ჩემი გარე ბიძაშვილი, იქვე, ჩვენს გვერდით ცხოვრობდა.

ბებია დათოს დაუძახა, ისიც მაშინვე მოვიდა და ორთავემ წისქვილისკენ გავწიეთ. მზე ახალი ამოსული იყო, გრილოდა. წისქვილის გზაზე რომ გავედით, დამის მებრეებმა ხარ-კამეჩი მაშინ გამოატარეს.

წისქვილთან ბიჭები ერთმანეთს ებღალარტუნებოდნენ. მე და დათო რომ მივედით, თამაში შეწყვიტეს და ჩვენსკენ მოტრიალდნენ.

— ქალაქელო, შენც მოინდომე მაყვალზე წამოსვლა? — მკითხა ავთარამ.

— რაო, მაგას შენნაირი ხელები არა აქვს? — უპასუხა დათომ.

— ჩემნაირი ხელები როგორ არა აქვს! აბა, დახედე, ხელისგულეებზე ბებერები შაურჩანებევით მაზის! — თქვა ავთარამ და ხელები გადმოატრიალა.

— ბაღლო, მაგოდენა ქეთლი რომ დაგითრევი, მაგის ტარების თავის გაქვს?! — ახლა შალიკო მომიბრუნდა.

— რატომაც არა მაქვს! — ვთქვი და ქეთლი ისე შევატრიალე, რომ ბიჭებს ეგრძნოთ: ჩემი ტვირთი არავისი წამოხალეები არ გახდებოდა.

— აგერ, გარეგანი და ტიტია მოდიან, — დამიძახა ლუკამ.

— წავიდეთ და ისინიც დაგვეწვიან, — თქვა დათომ და ჩვენც დავიძარით.

ის იყო ლადოაანთ ორლობეს გავცდით, რომ ზურგიდან გარეგანის ხმა მოგვესმა:

— მანდეთვენ რა ვინდათ?

— ბერუანთკარისკენ მივდივართ, — მიუგო ლუკამ.

— არა, ძია სვიმინანმა თქვა, ბერუანთკარში ახალ-სოფლელები იყვნენო. იმ ერთიბეწო ადგილს სულ მოლევდნენ, ისევ შუაგორზე წავიდეთ.

გამოვბრუნდით და ახლა შუაგორისაკენ მიმავალ გზას დავადექით. მალე სოფლის ორლობეებს გავცდით და მინდორზე გავედით. მინდორს მარცხენა მხარეზე რიყე მისდევდა. ერთგან ნიაღვარს ოცდაათიოდე მეტრის სიგანეზე ჩაეხრამა ადგილი. ახლა სიცხეს ისე დაეწრო მდინარე, რომ იმსიგანე კალაპოტში ერთი ბეწოლა მოწანწკარებდა წყალი. ბილიკი რიყის პირს გასდევდა.

— ქალაქელო, ვიშაიროთ? — მითხრა გარეგანმა.

— თქვენებურებს ეშაირე!

— სულერთი არ არის, ვისაც ვეშაირები? შენც ხომ ნახევრად ჩვენებური ხარ. ვინდა, ზღვისა და ტიკისა გითხრა?

ხმა რომ არ გავეცი. გარეგანი გაჩუმდა.

ერთი აღმართილა გვექონდა ასასვლელი, სანამ პატარა სანალოეში გავიდოდით; იქიდან იწყებოდა შუაგორის გზა.

— ბაღლო, პური გიდევს მაგ ქეთლში თუ მჭადი? — მკითხა ტიტამ, აღმართი რომ ავიარეთ.

— პური მაქვს.

— მოიტა ერთი, თანიას გამომცხვარი პურის ყუას გემო გავუსინჯო, — მითხრა და ქეთლიდან პური ამომაცალა.

— ბიჭო, ამოდენა პური რომ დაისაკუთრე, პატრონს აღარ უნდა? — ვითომ გაუწყრა ავთარა და ნახევარი პური გამოჰგლიჯა ხელიდან.

— მე ისე ვატყობ, ე მაგ ბაღლს ყველიც ექნება ქეთლში. თანია მაგას ცარიელა პურის ამარა არ გამოუშვებდა, — თქვა გარეგანმა და ქეთლი გადმოაპირქვევა.

— რომ მაქვს, განა შენთვის წამოვიღე! — შევეუყვირე და ქეთლი ხელიდან გამოვგლიჯე.

ვაკე გავლიეთ და თავდაღმართს დავუყვივით. აქ ორი ხევი ერთდებოდა. ხევი ღელე მოწანწკარებდა. მისი ტოტები შეშინებულელებივით იფანტებოდნენ გასიპულ ქვებზე. სკუპ-სკუპით გადავედით წყალზე.

ხევის შესართავს იქით, დიდ მუხასთან მენახირე კოლიკას ხბოები მოერეკა საძოვრად, თვითონ ჩრდილში წამოწოლილიყო. მეც იქით გავწიე დასასვენებლად.

კოლიკა ცოტათი იქნებოდა ჩემზე დიდი. როცა ჩვენს ბოსტანში მივდიოდით ხოლმე, იმათ სახლთან უნდა გამეყო. ბებიაჩემმა, კოლიკა ნათესავად გვეკუთვნისო.

ბიჭებიც მუხასთან მოგროვდნენ. უცებ ჩემს გვერდით რაღაც გაფრთხა. მე, გულგახეთქილი, გვერდზე გავხტი.

ბიჭებს სიცილი წასკდათ. გონება რომ მოვიკრიბე, დავინახე: კუდაწეული ხბო გარბოდა, ალბათ კრაზანამ უქბინა.

— ბაღლო, მოიცა, ერთი ყური დავაღო, გული ხომ

არ ამოვივარდა! — გადაიხარხარა ავთარამ.

— ენდე, მანდვეა წყარო, გაიქე, ცოტა დაღიე, თორემ იქნებ გულისცემამ გაგათაოს! — გამედროჭა სოლიკო.

— რა მოხდა, რა გაცინებთ! — გაწყრა კოლიკა, — შეეშინდა რა, განა თქვენსავით ხბორებთან თავშეკცევი-თა სძინავს! ჯერ ეს მეორე ზაფხულსა ატარებს აქა. მერე ეგვეც შეეჩვევა სოფელსაცა და საქონელსაც.

— კოლიკ, ძია თელიამა, ხბორებს აღრე ნუ უშვებს და ძროხებს ნუ მიწოვებსო, თორემ იქნებ ბეჭებზე სახრე ვაგლისოო, — თქვა გარეგანმა და ვედროს ხელი დაავლო.

— გამაგლესავს და, განა ჩემი ხელები იმას მიეშვე-ლება!..

— გვეყო დასვენება, — წამოიძახა სოლიკომ, — საცაა მოშუადღევდება, შუაგორზე როდისღა უნდა ავი-დეთ?!

— მაშ, კოლიკ, ეგრე თქვა ბიძაჩემმა. ხალხიც გემ-დურის, ხბორები მზის ჩასვლამდე მოუდისო სოფელში, — თავისი განაგრძო გარეგანმა.

— ბალო, ხალხს კი ტყუილად იმიზეზებ, მაგრამ ბიძაშენმა თუ რამე თქვა, ჩემგან ეგრე უთხარი: შენი ერ-თი ხბოს გულისცვის, შუაღამემდე ტყეში ვერ დავრჩე-ბი-თქო.

— ვერ დარჩები და სილა მოვა ყბაში!

— შენგანა თუ იმისაგან? — ჰკითხა კოლიკამ და გა-რეგანს წინ აეტუხა.

— რა ვიცი, ერთ-ერთისაგან რომ მოგიწევს, ეგ ნაღ-დია.

— რო მოგზვდეს მაგ სიტყვისთვის?

— ვის უნდა მოგზვდეს, ბიჭო! ერთი ხელი დამაკარე და მერე მე ვიცი შენი!

— თუ რიგიანად არ ილაპარაკებ, ხელსაც და-გაკარებ და მეტსაც გიზამ, — არ ეშვებოდა კო-ლიკა.

— ამაზე მეტი რაღა უნდა მიყო, დორბლებით ამავსე, — თქვა გარეგანმა და ხელი მოისვა სახეზე. ბიჭებმა ხარხარი ატეხეს.

— მე აგავსე დორბლებითა? — გაცხარდა კო-ლიკა და გარეგანს ერთი მაგარი წაუთაქა.

გარეგანი დაბარბაცდა. შალიკომ კოლიკა დაი-ჭირა, ლუკა კიდევ გარეგანს დაუდგა წინ.

— ამას უყურეთ, როგორი გამაწნა! გამიშვით ერთი, მე ვუჩვენებ მაგას, როგორ უნდა გარტყმა!

— გამოუშვით, რახან გულით უნდა! — თქვა კოლიკამ.

— გამომიშვან და კარგი დღეც დაგადგება!

გარეგანმა და კოლიკამ კიდევ დიდხანს იჭირ-ვეულეს. ბოლოს, როგორც იქნა, ორივენი დაწყნარ-დნენ. გზას რომ გავუდევით, გარეგანი ერთხელ კი-დევ მიუბრუნდა კოლიკას:

— ჩამოდი ერთი სოფელში, მე გაჩვენებ რო-გორ უნდა ხელისკვრა! ან ეს როგორ მოკრეფავს დღეს მაყვალს, იმასაც დავინახავ!

კოლიკა უკვე თავქვე მიდიოდა და გარეგა-ნის სიტყვები აღარ გაუგონია. გარეგანი, ეტყობო-და, ძალიან იყო გულმოსული და ჩხუბის საბაბს ეძებდა.

— ამის გულისთვის ამიშარდა არა, კოლიკა! — ბოლოს ისევ მე დამადგა კბილი.

— ცოტა შენი ბრალიც იყო! — უთხრა შალიკო.

— ჰო, მარტო ჩემი ბრალი იყო! — წამოიყვირა გა-რეგანმა, — თქვენც სუყველანი არ იცინოდით?

— კარგი, გარეგან, თელიას ხბოს გულისთვის ჩხუბი როგორ უნდა მოგივიდეს! — დაუწყო დამშვიდება შა-ლიკომ. — არ გაგიგია, სადაც ქვეყნის ნახირი, იქაც ბებრის ხბოო. მთელი სოფელი ემადლიერება და რაღა თელიასთვის არის ცული?

— გამიგონია, ჰო, გამიგონია, მაგრამ ამ ბალოს რო-გორ გაუგონია მაყვალზე წამოსვლა, ისიც ვნახოთ. ავიდეთ ჯერ შუაგორზე!

მატარა სანალოეს რაც გავცდით, გზა ისევ აღმართს შეუყვავა. ალაგ-ალაგ ნიაღვრისაგან ჩახრამულ გზას ერთი მხრიდან ფერდობი ჩასდევდა. დაბლა, იმ ადგილას, სა-დაც ფერდობი თავდებოდა, თეთრი რიყე ჩანდა.

ბიჭები ისე ყოჩაღად მიაბიჯებდნენ, რომ შესვენებას ალბათ შუაგორამდე არ მოინდომებდნენ.

მე ამ გზაზე პირველად ვიყავი და ასეთი დიდი ტყეც არ მენახა მანამდე. სულ ხეებისა და რიყის ყურება მინ-დოდა. დავიღალე, ფეხებს ძლივსღა ვადგამდი. მალე და-თოც ჩამორჩა დანარჩენებს. ახლა ჩვენ მათ ათიოდე ნა-ბიჯის დაშორებით მიეყვებოდით. ჩვენს გავლოზე ზოგ-ჯერ ქვა დაგორდებოდა ხოლმე და ხმაურით ეშვებოდა ხევში. გზა თანდათან დაიბურა. მზის სხივი ჩვენამდე ვე-ლარ აღწევდა.

რიყის პირზე ხავსმოკიდებული დიდი ლოდი გამო-ჩნდა. ლოდს სწორი ღარი ჩასდევდა. ტყის სიჩუმეს ღარ-ში მოწანწყარე წყაროს ხმა ჩვენამდე მოჰქონდა.

— აგე, იმ ლოდიდან ისეთი ცივი წყარო გამოდის, ხუთ ყლუპს ვერ გადაყლაპავ ზედიზედა, — მითხრა და-თომ.



ტიტიაც ჩამორჩენოდა წინ წასულ ბიჭებს. ქვაზე ჩამოქვრივოდა და ფეხისგულს იზელდა.

— ე, მაგ წყაროს ირმის წყაროს ეძახიან ჩვენებურები, — გვითხრა მან, რომ მივუახლოვდით.

— ჰო, თურმე რიყრაყზე წყაროსთან ირმები მოდიან წყლის დასალევად, — დაუმატა დათომ და ფეხს აუჩქარა.

— აგე, იმ კლდეში რომ საყდარია, ამბობენ, იმაში ეშმაკები ბუდობენო, — თქვა გარეგანმა, როცა ბიჭებს წამოვეწიეთ.

კლდეში სახლის მაგვარი რაღაც მოჩანდა, ოღონდ თავდაყირა დაკიდებულს ჰგავდა ის სახლი.

— ამბობენ კი არა, ზოგიერთებს უნახავთ კიდეცა, ღამე როგორა გროვდებიან მაგ საყდარში მთელი ამ ტყის ეშმაკები, — თქვა ავთარამ.

— ჰო, ჰო, ერთხელ იმდენი ეშმაკები მოგროვილიყვნენ, რომ საყდარს იმათი სიმძიმისათვის ვეღარ გაეძლო და ამობრუნებულიყო, — დაუმატა გარეგანმა.

— სიმძიმე კი არ ამობრუნებდა, დაბლა ჩაიტანდა, — ვთქვი მე.

— ერთი თქვენც, საყდარში ეშმაკებს რა უნდათ! — გაიკვირვა დათომ.

— ეგა თქვი და! პაპაჩემს რამდენჯერ უთქვამს: აგე, პირდაპირ რომ ხვრელი მოჩანს, იქიდან ღამე ზოგჯერ ისეთი სინათლე გამოდის, გეგონება, უკუნეთ ღამეში „ემადინის“ ნათურები ანათებსო.

ერთხანს ყველანი საყდარს ვუყურებდით, მერე ისევ განვაგრძეთ გზა.

აღმართი თანდათან გასწორდა. ვაკეზე რომ გავედით, გზის მეორე მხარეს ტყე თანდათან დადაბლდა და ახლა ამ მხრიდან გამოჩნდა რიყე.

— შუაგორამდე ცოტადა დარჩა, — თქვა გარეგანმა. ახელა ხეები არასოდეს არ მენახა. მალე გზა ორივე მხრიდან ისევ დაიბურა. აღარც რიყე ჩანდა, აღარც წყლის ჩუხჩუხი აღწევდა ჩვენამდე.

მერე გზა ორად გაიყო. ყველაზე წინ ავთარა მიდიოდა. ის მარცხნივ მიმავალ გზას დაადგა. გზების გასაყართან რომ მივედით, გარეგანი შედგა. ჩვენც გავჩერდით.

— ე, ავთარ! — გასძახა გარეგანმა, — აფთრებმა შეჭამონ შენი თავი, რა გინდა მანდეთა?

— ესე უფრო ახლოა.

— რა ახლოა, მაყვალზე მიდიხარ თუ ანწლზე? მანდეთკე რო წავიდეთ, შორიდან მოგვიხედება მოვლა.

— შორიდან არა! ერთნაირი მანძილია, განა ესე არა ვყოფილვარ. ბარემ ისა თქვი, რომ ყველაფერი მარტო შენ იცი!

— ჩვენ ესე მივდივართ. შენ, თუ გინდა, წამოდი, თუ გინდა, ნუ წამოხვალ

ყველანი გარეგანს გავყევით, ავთარაც ჩვენსკენ წამოვიდა.

ტყე ისევ დაიბურა. მზე კიდეც არ ჩანდა. ზოგან ნისლიც იყო. გამიკვირდა, ქალაქში მზიან ამინდში არასოდეს არ მენახა ნისლი.

„აი, ეს კი ნამდვილი ტყეა, — გავიფიქრე და, ხეებს რომ ავხედე, ბოლომდე ძლივს ავაწვდინე თვალი. — ერთი ესეთი ხე ბებიაჩემს მთელ ზამთარს ეყოფოდა. როგორ ეწვალედა საწყალი, როცა პური აქვს გამოსაცხობი! ცომს მოზელავს თუ არა, მაშინვე ფიჩხისათვის მირბის. თან სულ ჩქარობს, რომ ცომი არ დაუმთავდეს. ერთი დიდი, აი ამხელა ხე ფიჩხადაც ეყოფოდა და შეშადაც“.

ტიტიამ.

— ამან რა ყველაფერი იცის, გეგონება ერთი ათი ირემი მაინცა ჰყავდეს მოკლული! — გაიცინა შალიკომ.

— იმ დღეს სასაფლაოსთან კი ვერა ვნახე, აი! — დაიწყო ტიტიამ, — მონადირეები რომ მოსდევდნენ! იმოდენა ირემი ისე სწრაფად გარბოდა, სახანძრო მანქანაც ვერ დაეწყოდა.

— აბაღებდა გადასკუბდა. მანქანა რაღა შუაშია! — თქვა ლუკამ, — ჩვენ სილიდებზე ვამბობთ.

— მერე რაღაც სახანძრო მანქანაა, ის საღლა ნახა ნეტა?

— სიზმარში.

— მაშ, სიზმარში! — თქვა ტიტიამ — პაპაჩემსა ვყავდი ქალაქსა, ნახვირი რო ჰქონდა გასაყიდად. სახანძრო მანქანაც იქა ვნახე. გასკდით გულზე! ზოგსა მატარებელიც არ გინახავთ ჯერა.

მინდორი გამოჩნდა.

— რამდენი მაყვალა! — წამოვიძახე მე.

— აგე, ცხრა მუხა! — თქვა ვილაკამ.

— ინდე, მაგ მუხების ქვეშ დაესვენა თურმე ერეკლე მეფესა, მთიულეთში რომ მიდიოდა. — თქვა ავთარამ.

შორს, მინდორში, მართლაც გამოჩნდა ბურუსში გახვეული ხეების ჯგუფი. იმ ხეებს ლურჯი, ქოჩორა წვერი მოუჩანდა მარტო.

„აღბათ ის თუ არის ცხრა მუხა, — გავიფიქრე მე. — აქ, ამ უღრან ტყეში რა უნდოდა ერეკლე მეფეს, ან ნეტავი რასაც ესენი ამბობენ, ყველაფერი მართალია?“

— აბა მოვემზადოთ, კრეფა დავიწყოთ, — დაიძახა დათომ.

— აქ რა ადგილია, ბიჭო, — თქვა გარეგანმა, — ისეთი მაყვლიანები ვიცი, ორივე ხელით ვერ აუდიოდეთ კრეფასა.

— აქაც ბევრია რაღა შორს წავიდეთ! — ვთქვი მე.

— ბევრია და მოკრიფე! ჩვენ იქითკენ წავალთ, — მომიბრუნდა გარეგანი და დაუმატა, — ეგ თეთრი ხალათი მოგქსვრება, იქით მაღალი მაყვალა.

— შენ ჩემი ხალათის დარდი ნუ გაქვს, შენს ხალათზე იფიქრე.

— მე შენთვის გეუბნები, თორემ, ხომ იცი, მაყვალმა რომ დაგთხუპნოს, ტანტარას გაბანავებენ ეზოში.

მაგრამ მათს შთამომავლებზე, დღევანდელ ინდიელ-პერუელებზე კი ყველაფერი ვიცით?

ასათიანმა ბრტყელძირიანი ლითონის ნავით ათასხუთასი კილომეტრი იცურა ამაზონზე — მსოფლიოში თითქმის ყველაზე მეტი საიდუმლოებით მოცულ მდინარეზე.

ასათიანი გააფრთხილეს: „ამას წინათ „იაგუას“ ტომმა თეთრი მისიონერი მოკლა. ჭარისკაცებმა თვითმფრინავით მოძებნეს ეს ტომი და ტყვიამფრქვევი დაუშინეს. ამიტომ „იაგუასთან“ შეყრა შეიძლება ცუდად დამთავრდეს. ისინი თქვენც ჭარისკაცად ჩაგთვლიან. ინდიელი „იაგუა“ კი თავის სარბაკანიდან სნაიპერის სიზუსტით ისვრის კურართი მოწამულულ ისრებს. იქნებ გაგონილიცა გაქვთ: რომ კურარე ამ ქვეყნად ცნობილ ყველა შხამზე ძლიერი შხამია“.

— სარბაკანები მუზეუმებში მაქვს ნანახი, კურარე კი ბავშვობაშივე გამიგონია, — მიუგო ასათიანმა. — ჯერ კიდევ პატარაობისას, ინდიელობანას რომ ვთამაშობდი, მოწინააღმდეგეებს ვემუქრებოდი, ჩემს ისრებს ამ შხამს წავცხებ-მეთქი.

— თუ ეს ასეა, — უთხრეს მას, — თქვენ ჩინებულად გესმით, რა საფრთხეშია იგდებთ თავს. ჰოდა, გირჩევნიათ უკან გაბრუნდეთ, სანამ საღსალამათი ხართ.

— არა, მე წინ უნდა გავწიო, — მტკიცედ განაცხადა ასათიანმა.

ამ საუბრიდან ერთი კვირის შემდეგ ასათიანი ამაზონის ნაპირზე პეიზაჟს იღებდა. იგი კამერის ხელმძღვანელებში იყურებოდა და გადასადებ კადრებს არჩევდა. უეცრად, მის პირდაპირ, მახლობელი ბუჩქნარიდან შესწინაშნავი აღნაგობის მეომრები გამოვიდნენ. ექვსნი იყვნენ, ნახევრად შიშველნი; ტანი სვირინგით ჰქონდათ მოხატული, თეძოებზე ტყავი შემოეხვივნათ, თვითიულ მათგანს ხელში სარბაკანი ეჭირა.

სხვა რა უნდა ექნა და, ასათიანმა ღილაკს თითი დააჭირა — კამერამ გადაღება დაიწყო.

მეომრები ინდიელი „იაგუები“ იყვნენ. ისინი ასათიანსა და მის გამყოლებს გარს შემოერტყნენ და, ისე, რომ კრინტიც არ დაუძრავთ,



სადაც წაიყვანეს. ორი საათი იარეს. ბოლოს ერთ ვეებერთელა სახლს — „მალოკის“ მიაღწენ. ამ სახლში მთელი ტომი ცხოვრობდა.

მალოკის წინ პროცესიას ტომის ბელადი შემოეგება. ასათიანმა მან შინვე თავი ახზადა საჩუქრების ყუთს, რომელიც ასეთი შემთხვევისათვის მუდამ თან დაჰქონდა, როცა ნავიდან ნაპირზე გადადიოდა.

ბელადმა მიიღო საჩუქრები და თავის ქვეშევრდომებს გაუნაწილა.

— ძალიან კარგია, — უთხრა მან ასათიანს, — რომ სწორედ დღეს გვეწვიეთ. ამ სადამოს ქორწილი გვაქვს, ჩვენი საუკეთესო მონადირე ირთავს ცოლს.

ერთ-ერთი იმ ინდიელთაგან, რომლებმაც ასათიანი აქ მოიყვანეს, წინ წამოდგა და მხარზე დაიკაჟუნა ხელი. ალბათ იმის თქმა უნდოდა, მე ვარ სასიძორო.

სამი დღე გაგრძელდა ქორწილი. ბოლოს, ასათიანი, ბელადისა და მეომრების თანხლებით, მდინარის პირას შამბნარში დამალულ თავის ნავთან დაბრუნდა. იგი გულითადად გამოეთხოვა ყველას, ვინც იგი აქამდე გამოაცილა, და ნავი მდინარეში შეაცურა. იმავე წამს, გამომშვიდობების ნიშნად, ახმიანდა დაფდაფი, რომელიც ინდიელებს თან წამოეღო.

დიღხანს, კიდეც დიღხანს ესმოდა ამაჴონის მღვრიე ტალღებზე მცურავ ასათიანს დაფდაფის ხმები. ინ-

დიელი „იაგუები“ ასე აცილებენ სტუმრებს, როცა უნდათ, ეს სტუმრები ოდესმე კვლავ ეწვიონ.

### ყველაზე ქარბი სარეუკები

გადაღება რომ დამთავრდება, აუცილებელია შეირჩეს ყველაფერი ის, რაც ყველაზე უკეთ გადმოსცემს რეუისორის ჩანაფიქრს, ყველაზე უკეთ გვიამბობს იმას, რისთვისაც იქნა ფილმი გადაღებული.

შემდეგ ფილმის ეპიზოდები ჰარმონიული თანმიმდევრობით უნდა დალაგდეს, ესე იგი უნდა დამონტაჟდეს.

აუცილებელია, ისე დაიწეროს ტექსტი, რომ იგი ყოველივე იმას, რაც ეკრანზე ხდება, გასაგებად განმარტავდეს, და ფუჭისიტყვაობით მაყურებელს არ ღლიდეს.

კიდეც ბევრი რამ არის მოსაგვარებელი, ყველაფერს ვერც ჩამოთვლი.

თუ ეს ყველაფერი კარგად მოგვარდება, მაშინ ფილმის წარმატებაც უდაოა, ოღონდ, რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ ჯერ კიდეც დასაწყისშივე, გადაღებების დროს, სურათზე ნიჭიერი და ჭკვიანი ადამიანები მუშაობდნენ.

თბილისის კინოსტუდია — „ქართული ფილმის“ ერთ-ერთ შენობას


გარედან, მეორე სართულამდე პატარა კიბე ასდევს. ეს კიბე ხომალდის ტრაპივით ვიწროა, თანაც — სრახნისებურად დახვეული. ნაწვიმარზე დიდი სიფრთხილე გინდა კაცს, რომ იგი მშვიდობიანად აიარო. მტრისას, თუ ფეხი დაგიცდა — სულ კოტრიალ-კოტრიალით ჩამოგორდები რკინის საფეხურებზე!

— ეს კიბე დოკუმენტალისტებისთვის არის, — ხუმრობით ამბობენ სტუდიაში, — ისეთივე სახიფათოა, როგორც მათი სამუშაო.

კიბეს რომ აათავებთ, მოკლე დერეფანში შეხვალთ. იქ რამდენიმე ოთახი და ერთი პაწია დარბაზია, რომელიც მხოლოდ ოც კაცს იტევს.

მე მარტოკა ვიჭექი თბილისის კინოსტუდიის ერთიციციქნა საჩვენებელ დარბაზში და ვუყურებდი როგორ დახტოდა ლითონის კაპანო ამაჴონის მღვრიე ტალღებზე, როგორ შედიოდა იგი ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი, ყველაზე მეტი იღუმალებით მოცული არემარის უღრანებში.

სწორედ იმ წამს კარმა გაიჭრია. ვილაცამ გამოიარა სავარძლებს შორის და ჩემს გვერდით დაჯდა. მივიხედე. გიორგი ასათიანი აღმოჩნდა.



კარუ



ეკრანზე ერთიმეორის მიყოლებით ჩნდებოდა ინკების საფეხურებიანი პირამიდები, გამოუცნობი ქალაქი მახჩუ-პიხჩუ და გამოცანათა გამოცანა — მზის ჭიშკარი...

უცებ, ეკრანზე ქარდაკრულმა, სპილენძისფრად გარუჯულმა ასათიანმა გაიელვა. მივტრიალდი მეზობელი სავარძლისკენ. იგი ცარიელი იყო. ასათიანი თითქოს კინოფირზე გადასახლდა.

ეს იყო, როგორც შორეულ გზებზე მოგზაურთან წუთიერი შეხვედრა, შეხვედრა მოგზაურთან, რომელსაც მოგზაურობიდან ჩამოაქვს ყველაზე კარგი საჩუქრები: მთელი ქვეყნები, სადაც მას უვლია.

კვამი რიანი.

— თითქმის მთელმა ჩვენმა ოჯახმა იცოდა ჭადრაკის თამაში, — იხსენებს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის უმცროსი ძმა დიმიტრი. — თამაშის განსაკუთრებულად დიდი ტრფიალი ჩვენი მამა ილია ნიკოლოზის ძე იყო.

სწორედ ილია ნიკოლოზისძემ ასწავლა და შეაყვარა ჭადრაკი შვილებს — ალექსანდრეს, ვლადიმერს, დიმიტრის, ანას, მარიასა და ოლას. საერთო გატაცება დედამ — მარია ალექსანდრეს ასულმაც გაიზიარა. ისიც ხშირად მონაწილეობდა ჭადრაკის ოჯახურ საღამოებში.

თამაში ყველამ ისწავლა ილია ნიკოლოზის ძის ხელით გამოჩარხული ჭადრაკით. სხვათა შორის, მამის გარდაცვალების შემდეგ ეს ჭადრაკი დედამ ვლადიმერ ილიას ძეს უსახსოვრა. მაგრამ ეს საოჯახო განძი დაიკარგა ფოსტის დაუდევრობით, როცა დედამ შვეიცარიაში, ემიგრაციაში მყოფ ვლადიმერ ილიას ძეს გაუგზავნა.

ბავშვებს მამასთან უყვარდათ თამაში. იგი გულკეთილი, დამთმობი მეტოქე იყო: იცოდა მოწინააღმდეგისათვის სუსტი სკლის დაბრუნება, არც წესების დაცვას მოითხოვდა მკაცრად.

ვლადიმერ ილიას ძემ ჭადრაკის თამაში 8-9 წლის ასაკში ისწავლა. პირველად ისიც მამასთან პაექრობდა, მერე კი უფროს ძმას — ალექსანდრეს ეთამაშებოდა. ძმები სჯობნიდნენ მამას.

„ჯერ მამა გვიგებდა, — მოგვითხრობს ვლადიმერ ილიას ძე, — შემდეგ მე და ჩემმა ძმამ ჭადრაკის თამაშის სახელმძღვანელო ვიშოვნეთ და მამას ვუგებდით ხოლმე. ერთხელ მამას შევხვდით, ერთ ხელში სანთელი ეჭირა, მეორეში ჭადრაკის სახელმძღვანელო. ჩვენი ოთახიდან გამოვიდა და ჭადრაკს ჩაუკრა“.

— ვალოდია უკვე მიგებს. მას ახლა უფრო ძლიერი მეტოქე სჭირდება, — თქვა ერთხელ ილია ნიკოლოზის ძემ. მაშინ ვლადიმერ ილიას ძე 15 წლისა იყო.

ალექსანდრე ულიანოვი ძლიერი მოჭადრაკე იყო. ამიტომ მისი და ვლადიმერ ილიას ძის შეხვედრა მუდამ სპორტულ ინტერესს იწვევდა ოჯახში.

1888 წელს ალექსანდრემ პეტერბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა, ვლადიმერმა — გიმნაზია. ზაფხული ძმებმა ერთად გაატარეს სიმბირსკში.

ალექსანდრემ და ვლადიმერმა მატჩის ჩატარება გადაწყვიტეს.

— სამწუხაროდ, არ მახსოვს არც ამ მატჩის შედეგი და არც მისი პირობები, — წერს დიმიტრი ილიას ძე. — ბრძოლა კი მძაფრი იყო. ორივენი მღუ-



მარედ, საათობით უხსდნენ დაფას. მაშინ ჩემთვის ეს თამაში სრულიად გაუგებარი, ძნელი იყო. ძმები თამაშის დროს არ დავობდნენ, არც ლაპარაკობდნენ. მეტოქენი მხოლოდ საღამოობით თამაშობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ არდადეგები ჰქონდათ და ორივე თავისუფალი იყო, ერთი შემთხვევაც არ მახსოვს, ჭადრაკი სადილობამდე რომ



თანხიზ ბიოგრაფია

ეთამაშნათ. დილის საათებს მეცადინეობას უთმობდნენ. ჩემი აზრით, ეს ფაქტი უაღრესად დამახასიათებელია ორივესთვის, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ უფროსი ძმა ოცი წლისა იყო, ვლადიმერ ილიას ძე კი — მხოლოდ თექვსმეტისა.

ეს იყო ალექსანდრეს უკანასკნელი ჩამოსვლა მშობლიურ სიმბირსკში. 1887 წლის მარტში იგი ჩამოაზრჩვეს მეფეზე თავდასხმაში მონაწილეობისათვის.

ვლადიმერ ილიას ძე უმცროს დებსა და ძმასაც ეთამაშებოდა. დები სუსტად თამაშობდნენ, არც დიმიტრი იყო ძლიერი მოთამაშე. ვლადიმერ ილიას ძე მას წინდაწინ ეტლს აძლევდა.

ერთხელ ვლადიმერ ილიას ძემ თავის ოთახში უხმო დიმიტრის და უთხრა:

— ვითამაშოთ თანაბარი ძალებით, ოღონდ მე დაფაზე დაუხედავად ვითამაშებ.

12 წლის დიმიტრის, რომელსაც ასეთი თამაში არასოდეს გაეგონა, ძალიან გაუხარდა. ფიქრა: უჩვეულო სვლებს გავაკეთებ, დავაბნევ და მოუგებო.

ვლადიმერ ილიას ძე საწოლზე ჩამოჯდა, დიმიტრი კი დაფასთან დასვა. ბრძოლა გაჩაღდა. დიმიტრი ჩქარა აკეთებდა უჩვეულო, მაგრამ სუსტ სვლებს და... მალე იძულებული გახდა დანებებულიყო.

— აღარ მახსოვს მერე ვალოდიას ოდესმე ეთამაშოს თვალსუჭულად. ასეთ თამაშს იგი გონებისთვის მაგნედ მიიჩნევდა, — იგონებს დიმიტრი ილიას ძე.

ულიანოვების ოჯახში კარგი მოჭადრაკე იყო ლენინის დის ქმარი მარკ ელიზაროვი, შემდგომში საბჭოთა რუსეთის გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარი. სწორედ მისით გაიცნო ვლადიმერ ილიას ძემ რუსეთის ერთ-ერთი ცნობილი მოჭადრაკე ა. ხარდინი, რომელთანაც ახალგაზრდა ლენინს შემდგომ გულწრფელი მეგობრობა ჰქონდა.

მარკ ელიზაროვმა ერთხელ მსოფლიო ჩემპიონს ე. ლასკერს მოუგო ერთდროული თამაშის სეანსში. მან ეს ამბავი ვლადიმერ ილიას ძეს მისწერა ციმბირში, სადაც ლენინი იმხანად გადასახლებაში იმყოფებოდა.

ვლადიმერ ილიას ძემ უპასუხა:

„მივიღე მ თებერვალს გამოგზავნილი თქვენი წერილი. თქვენმა საჭადრაკო პარტიამ კარგ დროს მოგვისწრო. ჩვენთან სტუმრობდნენ მინუსისკელები, რომლებიც ახლა ჭადრაკით არიან გატაცებულნი, და ჩვენ დიდი ინტერესით ვპაექრობდით. თქვენი პარტიაც გავითამაშეთ. ამ პარტიის მიხედვით ჩანს, რომ თქვენ გაძლიერებულხართ. ალბათ დიდხანს ფიქრობდით თვითვე სვლაზე და (იქნებ) მეზობლების რჩევადარიგებითაც სარგებლობდით. თორემ ახლა საშოშიც იქნება ისეთ კაცთან ბრძოლა, რომელმაც ლასკერი დაამარცხა“.

დასთან მიწერილ წერილში ვლადიმერ ილიას ძე შენიშნავს: „რუსივე ვედომოსტიში“ წავიკითხე, რომ მარკმა ჩიგორინსაც მოუგო. ხედავ! ალბათ ოდესმე ჩვენც შევერკინებით ერთმანეთს!“

ულიანოვების ოჯახის ყველა წევრს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა ჭადრაკის დიდი სიყვარული და ღრმა პატივისცემა.



# გ ს უ ჯ ა ნ ი უ რ ჯ ა ნ რ

## არღვ ნაჩინძი

### მაგარი და ზღაბუნძალი.

არგენტინა-ურუგვაის ნაპირებთან ცხოვრობენ, ჩიო-დე-ლა პლატას სურის წიწ.

ჩიურაი იწყებდა. თუმცა მზე ჯერ კიდევ არ ამოვირლიყო ოკეანეში, მაგრამ ცაში უკვე ეახვი მოსვენება. ერთმეორის მიყვლით ტრეპოიდენ ჩახჩახა ვარცვლიდა.

სატრალი ხიდურზე ვიღებო. ტოვარით გავაქურდილი ოქროსფერი მსუეეზალადიკრულ პტაგონის ნაპირებს. ამათოლოებით გაფანტულ პატარა რანჩოებში მომჭირებ გაუჩიოს უკვე ჩაქოეო შუქი, ატლანტილია შემოდიოდა მთელი სიდიადით.

ხანდახან ტოვარის ძირს გზიღვ და უქარდებით ვაკვირდებოდი, მხსვილ ვერტებს თუ როგორ მოჰქონდათ გეზანისაყენ თევზის საყენ ტრალი, ტრალის თავე უკვე სლამ-სე ამოქონილი, ბოლო ეს სადაღე ამოინეში ბაუეჩევი.

ტრალი-დე ღვლინია — მომეს-მა ბოქმან ნიღარ მავქაიბის ხმა. იგი ჩემს გვირდით იდგა და ზევიან დაპუერებდა ხაუსს.

ტრალი-დე ღვლინია — კლავ გაიმერია ბოქმანს.



— ჩავიდეთ. — ვეთხარი მე. სანამ ტრალის ვიქოო კოხს სატრალი ხიდრისაყენ მივაქრავი, ჩემს ბოქმან ტრალის ბოლო უკვე ამწეზე აქაჩათ და ცოცხალი თევზი ვერცხლსფერი თოვლით იღვებოდა გეზანზე. თვალ მოვკარი, ცალკომარეული ზაიდან როგორ დუხუნდ კამოსროლა დალი დღვლინი და სატრალი ხიდრის მოქარა თან დაჯარა. იგი არ მჩივდა მას კვალდავალ მეტი მოჰქონა. პირველისაგან გასსუეევი, ის იყო ცოცხალი, ოთხარი დღვლინი, რომელიც თავისი მაგარი ნისყარით დღეც

თევზებზე ერთ წუთს გაიჩინდა, მე-ერ პირიხინტალად გაბრტყლებული ბოლო თევზის გორას დაქრა და თავე ასწრა. ცაში აღმათილი დღვლინის თავე ახლა ძალიან პავადა იბეს დანდლოდღეუო თავე.

შეიღობას ეტებს. — მიურერა-ლა ბოქმანს.

ღვლინი მართლაც უქარდებით აკვირდებოდა იჭერობას. წარბი, ნაღვლიან თვალს აციეებდა და პირიხინტალად გაბრტყლებულ კედს ქანჭანასავით იტყნედა. მერე აიოვანა, ვისაც ეტებს, სამოხეგნი-საგან დასუტენია და გეზანის მოათინისაგან ცოცხალი წვიდა.

ბოქმანი მოკრიბიან დადღვლელი დღვლინისაყენ დაიხარა. კვლამთან მოთავსებულ სასუთმე წარღ მთლზე

კლავსა, მერე რკოლები გამაღა და გესლანი თავე დღვლინისაყენ გასწრა.

კვიანი დღვლინი მოხვება გველს ვერაობას, გვერზე გასრიალდა. მაგრამ მას თევზის გროგზე კურეჯე უჭრია და შორს წასვლა მამიე ვერ მოახერხა.

მურენა კლავ დაიკლავა, ის იყო რკოლები კლავ უნდა გეზმა, რომ ბოქმანის ხელში ხარკვა ვიილუა. ბარჯი სწრაფად გაფრინდა და მანთან ამატეს თავე ჩაქოეო.

— თოხა, ნიღარა! — შევხებო. ნიღარმა გიღვლინი, ბარჯი ასწრა. ზღვლი წამებე ბარჯზე დაქვიდა. სიღარამა დაითი თავე მოსჭრა. ტანი ბარჯად ჩამოხსნა და მზარტულს გადღვლია.



— ვარდა მოხარე, კარლო, დაღვ-ღვლინი თავე არ დაღვიწქდეს, საღვლილ გაიხალტე.

მურენას დღვლინი სორკო აქვს და სიმოხეგნით მუეეპეითი სევალი.

ამსობაში საფრთხეს გადაჩჩინელი ჩვენი დღვლინი, კლავ განაგრძობდა უქსეითი ცოცხს ვერობისაყენ. ბოლოს, როგორც იყო, მაიწრა, თავე თათთან მოტენა, რაღაც დაუსუტენია და გაიჩინა.

ბოქმანი დაიხარა, ცოცხალ დღვლინს სასუთმე მთლზე თითი დაღვირია.

ღვლინმა დაუსუტენია, მერე თავე ასწრა, წარბი, ნაღვლიანი თვალ-ბით მე შემომხედა და ერთხამად რაღაც წარმოუდღვნილი რამ მოხდა.

— დღვლინი ატრიადა. თვალის უხე-ევი ნელ-ნელა აეცო, კამკამა ტრეღვ-ბითი. მერე ეს ტრეღვი უხევისაყენ ვერცხლს-ფერს აკვად ჩაიჩარადა.

ღვლინის ტრიოდა. ტრიოდა, ჩიურაი ადამიანი.

ჩაღვდე დაზრეულა ნაღვლიანად, ძალზე სეღინადა. — ნიღარა! — შევხებო. ბოქმანმა სასუნეში მიღს ხელი ურეკა, დამანაშავსავით დადგა. — მიღვდა გეზანათ, ჩოგერი ტრიოს დღვლინი.

მეზღვარები მამინე მათთან გაჩნდნენ, დღვლინი მძღვარი მეზღვარული ხელონი შემომადის და ჰაერში მიიღებ ასწრა.

ღვლინი პირველად დაიბრუნდა, რაღაცა და წუღვლიანი იტყნე-თეს დღვლინი მანზე მაგარამ ზღვ მიეგადა რასაც უიჭრებდნენ, ერთი მძღვარად გაიზიდა კელი. სწრა-ფად გასრიალდა მეზღვართა ხე-ღვლის შორის და გეზანზე, მეგობრის ვეპირით გაჯარა.

— ვენიღვლინი, — დაიხარა ბოქმანი მისაყენ, — შენი მეგობრია მეგად-არია ძალთან ვერეხარ. მაგრამ რას იბაძვი შე ადამიანს ვაო, შენზე უფრო მეტი შემოსამ მქვიენია და ურედა დაიჭირე, სინორო.

ღვლინმა რაღაც დაუსუტენია. — ზევიეო, მსუტენი ფერანლო ამ-ბოხს, სანამ ჩემს მეგობარს არ გადავადებთ, მანამდე აქედან დღვსაც არ მოვიცვლო. მოდით, ვერ ის სინოროტა მოვისროლოთ ოკეანეში, მერე მსუტენი ფერანლო თავე მე-მეზღვარებია.

ბოქმე დატრიადღვნი, მკვდარი სინოროტა დღვლინი ჰაერში ასწრეს და ცოცხალ მოსროლოს ოკეანეში. ეს რომ დაინახა, ფერანლომ ერთი ალოკოთი ატეხა. კულს ვადღვარებო ურტყამდა გეზანს, რაღაც ავზნეულს ბეგუებს ხაუსცოცხდა.

მეზღვარები ახლა მისაყენ დაიხარნენ, ფთიხილად ასწრეს, ფერანლო ახლა ეს დამოირიდდა მეზღვართა ხელსებს და ეღვლა იმ წუთს, როცა ოკეანეს ჩაეხევიდა. და აი, მოისროლეს კიდევ ჰაერში ვიხასა დღვლინის წამბილო. იგი კლავს მსუე-ღვლისაგან იხიდიდა. მერე წყალში ამო-ტრიოდა და ჩვენსაყენ გამოეშტრა. ცოხა ხანს ჩვენსაყენ მოუკრავდა, შემდეგ მარჯვნივ გაუტია, მერე მარცხნივ. ნერიეულად, მძღვარად სუ-ტეგვდა. მიეღვლით მეგობარს ვიან-ბა. მეგობარი ეს არსად ჩანდა, იმ იყოს, რომელიც დღვლინს ფერანლო მეგობრის უკვე დასუტენია და მისი მოკვლედი აშლია მსოფლიო და მსოფლიო ათასჯერე მტკეუღვლიან გამოხერულ ძღვნი მე ჩაიქვიდა.

დაიხარა, თავე აქწრა, მუსლზემ დაიღვი.

— ჩემი ფერანლო, შეუკრადეო ხომ არ შეგებინდა ამა, შენ ჩოგერი მოკვლედი ასეთი კარგი და კეთილი ხარ! — თავე ხელს უსამადა, დღვ-ღვლინი.

— მიმეხანება, ვავათავისუფ-ლოთ, — თვეა ბოქმანსა.

ღვლინი ახლა დარ ტრიოდა. ნის-კარტე ატყეუენება, რაღაცს უჭრე-ჩუნდება ბოქმანს, მაგრამ ბოქმანს მისი არ ესმოდა, დღვლინი კიდევ — ბოქმანსა. ასე მომეჭრა, რომ მათ მივიც იბოქმენ საჯორო რამ. — მიმეხანება, ვავათავისუფ-ლოთ, — თვეა ბოქმანსა. — მსუტენი ფერანლო, დაიჭირე, 27

შენი მეგობარი აქ არ არის. — უთხრა ნაღვლიანად ბოცმანმა.

ფერნანდომ, ეტყობა, ან კარგად ვერ გაიგო ქართულად ნათქვამი, ანდა აღამიანებისა, სიერთოდ, არაფერი სჯეროდა: მან სახიფათო ტრიუკი რამდენჯერმე გაიმეორა.

ბოცმანმა რუსულიც მოიშველია და ესპანურიც, ისეთი ესპანური. რომლითაც მონტევიდეოში, არტიკასის მოედანზე, ჭიქა წყალსაც ვერ დაღვევ... მაინც ვერაფერი გააგებინა მსუქან ფერნანდოს!

— შოიერი იქნება, მოდით, თევზი მივაწოდოთ, — თქვა ბოცმანმა.

დიდი მერლუზა შევარჩიეთ და გადავუგდეთ, მაგრამ ფერნანდოს მერლუზისათვის სრულებითაც არა სცხელოდა.

საღამოს ბოცმანი კვლავ გადადგა სატრალო ხიდურის მოაჯირზე. ისევ გადაუგდო დელფინს მერლუზა. მაგრამ ძველი სცენა კვლავ განმეორდა: დელფინმა ზედაც არ შეხედა თევზს, დაჟინებით მოცურავდა ჩვენს გვერდით და ნაღვლიანად უსტვენდა.

დილით, ადრინადაც, სატრალო ხიდურს მივაშურე. ყურადღებით ვიწყე ოკეანის თვალიერება. ჩვენი დელფინი რომ ვერ შევნიშნე, შვება ვიგრძენი. ამ დროს ვემბანზე ნოდარ მაქაყარია გამოჩნდა. დაბალი, მთლად ჩაძარღვული ჩვენი ბოცმანი მოაჯირზე გადაიხარა, ხელები ტუჩებთან მოიმრგვალა და შესძახა:

— ფერნანდო! ჰეი, მსუქანო ფერნანდო!

მის წინ ოკეანის ტალღები ერთბაშად აღგავუნდა, მსუქანი ფერნანდო ცხრა ფუტის სიმაღლეზე შეხტა.

— ფერნანდო, ძმობილო, გირჩევ: ახალი მეგობარი გაიჩინო. უმეგობროდ აღამიანებიც კი ვერ ცხოვრობენ. დაგეტოვებ. ფერნანდო. მე აღამიანი ვარ და უნდა დამიჯერო.

მაინც არ დაგვიჯერა, კვლავ ჩვენს გვერდით მოცურავდა.

შუადღისას სავსე ტრალი ამოვიღეთ. ბოცმანმა რამდენიმე ცოცხალი თევზი აიღო, მოაჯირს იქით გადავიდა, მარცხენათი მოაჯირს მოეკიდა, მარჯვენა, თევზიანი ხელი წინ გაიშვირა და დელფინს დაუძახა.

ფერნანდო სწრაფად მოცურდა, ლამაზნიკარტიანი თავი ასწია და ბოცმანის ხელიდან თევზი დაითრია, მერე ცოტაზე გაცურდა და ისევ შემობრუნდა.

— ბოცმანს კიდევ მივაწოდეთ თევზი. მან კი, თავის მხრივ, ფერნანდოს დაუძახა. ფერნანდო ისევ მოცურდა და ნოდარს ხელიდან გამოსტაცა ახალი

თევზი. როცა გაძდა, სულ ახლოს მიცურდა ბოცმანთან... ბოცმანმა თავზე ხელი გადაუსვა. დელფინმა კიდევ მიიწია და მარჯვენა გვერდით ოკეანეზე გაკრული ბოცმანის ილლიის ქვეშ შეეცურდა.

მეორე დღესაც კვლავ ჩვენთან იყო ფერნანდო და მესამე დღესაც. ნოდარი კვებავდა ახალი თევზით. მხოლოდ მეოთხე დღეს დაკარგეთ გამლილ ოკეანეში. მისი წასვლა თან გვიხაროდა, თან გვწყინდა. ყველაზე უფრო კი ბოცმანს სწყუდებოდა გული.

გავიდა თითქმის ოთხი თვე. დამე იყო, ლამაზი, ტროპიკული ღამე. ტროპიკებში ხომ ღამე ჯადოსნური იცის! ვარსკვლავები, ჩახჩახა ვარსკვლავები პირდაპირ ვემბანზე ცვივიან. ისლამური ნახევარმთვარე ცაზე ოქროსფრად კიაფობდა. როცა გემი მთელი ქიმიტ უხვევდა, ნამგალა მთვარე ცაზე ცეცხლმოდებული ნავივით გარბოდა. შორს, საღდაც ან-



ტაქტიდის თავზე, მშვიდად ეკიდა სამხრეთის დიდი ჯვარი და ტროპიკებში მყოფთ ცივი აისბერგების საწყაროდან გვიკრავდა თვალს.

თითქმის მთელი ეკიბაჟი სატრალო ხიდურზე ვიყავით თავმოყრილი. მე და ბოცმანი ზედ მოაჯირზე ვისხედით. ოკეანეში რომ არ გადავცვინილიყავით, ზურგით ამწის მაგარ ჯაჭვზე ვიყავით მიყრდნობილი. ჩვენს ლამაზ ქვეყანას ვიგონებდით და ნღვლიანი თვალებით ვარსკვლავებს ვითვლიდით.

— სუ! — თქვა ბოცმანმა, — რაღაც უცნაური ხმა მომესმა.

მეზღვაურ ანდრო გაბოშვილს სიტყვა პირზე შეაშრა. ყველანი გავისუდრეთ. გარდა ოკეანის ჩუმში, იღუმალნი ჩურჩულისა, არავითარი ხმა არ ისმოდა.

— მოგეჩვენა. — უთხრა ბოცმანს ანდრო გაბოშვილმა და შეწყვეტილი ამბის თხრობა განაგრძო.

იმავ დროს სტვენა გაისმა. ბოცმანი სწრაფად გადაძვრა მოაჯირს იქით.

შორს, გემიდან ორმოცდაათიოდე ფუტის დაშორებით, თვალი მოვკარი ფოსფორის გრძელ, ყვითელ ზოლს. მაშინვე მივხვდი, რომ ჩვენსკენ დელფინი მოჰქროდა. ასეთ ფოსფორულ ხაზს დელფინი ღამით ტოვებს ხოლმე, როცა ოკეანის ზედაპირზე თავგამოდებით მიქრის.

— ფერნანდო! ფერნანდო! — დაიძახა ბოცმანმა. მარცხენა ხელით მაგრად მოეკიდა მოაჯირს, მარჯვენა ხელი ოკეანისაკენ გაიშვირა.

მთვარისა და ჩახჩახა ვარსკვლავების შუქზე დავინახეთ, თუ როგორ მოცურდა მსუქანი ფერნანდო ბოცმანთან, ილლიის ქვეშ შეუძვრა და თავისებურ სტვენას მოჰყვა. ლამაზ. პატარა ნისკარტს იქნევდა.

ბოცმანს მაგრად მოეხვია მისთვის მარჯვენა ხელი და ხმადაბლა ეუბნებოდა:

— სად დაიკარგე. ჩემო ფერნანდო? გული დამწყვიტე. მარტო ნულარ ივლი, ოკეანის ჯუნგლებში მარტო სეირნობა ძალზე საშიშია. მეგობარი უეჭველად გაიჩინე. გესმის, ფერნანდო, რას გეუბნები?

ფერნანდომ რაღაც უპასუხა.

იმ წუთში ძალიან მსურდა მცოდნოდა დელფინების ენა და კარგად გამეგო. რა თქვა ჩვენმა მსუქანმა ფერნანდომ.

# ყვავი მუხლუხა

სამბოჯური არაკი

ერთხელ მუხლუხა ხასხასა ფო-  
თოლს შეექცეოდა. უცებ საიდან-  
ღაც მშიერი ყვავი მოფრინდა, დაი-  
ნახა მუხლუხა და დაიჩხავლა:

— ამ მუხლუხას ახლავე ყლავს  
ვუზამ.

მუხლუხამ ყვავი რომ დაინახა,  
შეშინდა: ყვავი ბოროტია, მართლა  
არ გადამყლაპოსო!

მუხლუხა შეეკითხა ყვავეს:

— რაზე გარჯილხარ, ყვავო?

— უნდა შეგჭამო. — უპასუხა  
ყვავმა.

— რა გაეწყობა, შემჭამე, ღმერთმა  
შეგარგოს ჩემი თავი, მაგრამ ჯერ  
ოთხ შეკითხვაზე უნდა მიპასუხო.  
თუ სწორად ვერ მიპასუხებ, მაშინ  
დამეხსენი.

— კეთილი და პატიოსანი. განა რა  
უნდა მკითხო ისეთი? აბა დაიწყე! —  
უთხრა ყვავმა.

მუხლუხამ ასეთი კითხვები დაუს-  
ვა:

— ქვეყანაზე რა არის ყველაზე  
ტკბილი?

— ყველაზე მყავე და ცხარე?

— ყველაზე მყრალი?

— ყველაზე სურნელოვანი?

ყვავმა მოუსმინა და გაუხარდა, ამ  
უბრალო კითხვებზე არც დავფიქრ-  
დებიო, მუხლუხას თვალისდახამხამე-  
ბაში გადავყლაპავო. მაგრამ ყვავმა  
ბევრი იფიქრა და ასე უპასუხა:

— ქვეყანაზე ყველაზე ტკბილი შა-  
ქარი და თაფლია, ყველაზე მყავე —  
ლიმონისა და თაფლინდის წვენი, ყვე-

ლაზე ცხარე — ძმარი, ყველაზე  
მყრალი — მძორი, ყველაზე სურნე-  
ლოვანი კი — ჟანდინის ყვავილი და  
ძვირფასი ზეთი.

— არცერთი პასუხი სწორი არ  
არის! — უპასუხა მუხლუხამ.

ყვავმა იწყინა:

— თუ ჩემი პასუხი სწორი არ  
არის, მაშინ იქნებ შენ მოგვახსენო.

— გიპასუხებ, ოღონდ იმ პირობით,  
თუ ხელს არ მახლებ.

— სიტყვას გაძლევ, თითსაც არ  
დაგაკარებ.

— ყველაზე ტკბილი მლიქვნელის  
ენაა, ყველაზე მყავე და ცხარე —  
ბოროტი, უსულგულო, უსამართლო  
სიტყვები, ყველაზე მყრალი — ჩირქ-  
მოცხებული სახელი და უპატიოსნე-  
ბა. ტყუილად კი არ ამბობენ უსინდი-  
სო საქიცელზე: „მყრალი სუნი უქა-  
როდაც მოდისო“. ყველაზე კეთილ-  
სურნელოვანი კი — უმწიკვლო პა-  
ტიოსნება და კარგი სახელია. —  
უპასუხა მუხლუხამ.

თარგმანა თინათინ ჯავახიშვილმა.

მხატვარი დიმიტრი ზარაფიშვილი





ქ ვ რ ჩ ი, 1942

ანტონ კელენჯერიძე



ქართველი უურნალის-  
ტის ანტონ კელენჯერი-  
ძის წიგნი „ქვეყნი, 1942“

სამამულო ომის ერთ პა-  
ტარა მონაკვეთს აცოცხ-  
ლებს. ავტორი აგვიწერს  
ყირიმში ქართული საფ-  
რონტო გაზეთის რედაქ-  
ციისა და სტამბის მუშაკ-  
თა საქმიანობას, პირველი  
ქართული დივიზიის თავ-  
განწირულ ბრძოლას, გვი-  
ხატავს მამაც აღამიანებს,  
ვინც უწყყმანოდ შესწი-  
რა თავი ფაშისტი ბარ-  
ბაროსებისაგან საბჭოთა  
მიწა-წყლის განთავისუფ-  
ლების წმინდა საქმეს.

**ტილ  
ოილენშპიგელის  
თავგადასავალი**

„ოილენშპიგელის თავ-  
გადასავალი“ XIV-XV სა-  
უკუნეებში შექმნილი გერ-  
მანული ხალხური ზღაპ-  
რების წიგნია. მისი მთა-  
ვარი გმირია გლეხის  
ბიჭი ტილ ოილენშპი-  
გელი, რომელიც თავი-  
სი ოინებით დასცი-  
ნის და ამასწარავეებს სა-  
ზოგადოების სხვადასხვა  
ფენის წარმომადგენელთა  
უფიცობას, მოუფიქრებ-  
ლობასა და ქედმაღლო-  
ბას.  
ეს წიგნი მეტად პოპუ-

ლარულია მთელ მსოფ-  
ლიოში, რადგან ოილენ-  
შპიგელს მსოფლიოს ყვე-  
ლა ხალხის ფოლკლორსა  
თუ ლიტერატურაში  
ჰყავს პროტოტიპი.



წაიკითხეთ, ბავშვებო,  
ეს მეტად ხალისიანი და  
ჰკუისსასწავლი წიგნი.

**რას მოგვითხრობენ  
ძველებური  
მონეტები**

გ. დუნღუა

ძველებური მონეტების  
მეცნიერულ შესწავლას  
დიდი მნიშვნელობა აქვს  
ამა თუ იმ ქვეყნის პო-  
ლიტიკური, ეკონომიური  
და კულტურის ისტორი-  
ის საკითხების გასაშუ-

ქებლად. ერთი შეხედვით  
ამ ცივი ლითონის ნაჭ-  
რებს, სპეციალისტის ხე-  
ლში „ამეტყველება“ და  
წარსულის მთელ რიგ სა-  
კითხებში გარკვეულობის  
შეტანა შეუძლია. მონე-  
ტები გარდასულ დღეთა  
დოკუმენტია.

განსაკუთრებული ინ-  
ტერესით წაიკითხავენ ამ  
წიგნს კოლექციონერები,  
რომლებიც მონეტებს აგ-  
როვებენ, აგრეთვე სას-  
კოლო მუზეუმების მეს-  
ვეური ბავშვები.



**მტრის  
ზურგში**

იური ბალაჰარინი

დიდ სამამულო ომში  
მრავალმა ქართველმა ვა-

**ლომი ძილისგუდა ყოფილა**

სერენგეტის (ტანზანია) ეროვნულ პარკში რამდენიმე ლომს სა-  
ყელური შეაბეს, რომლებზეც ტრანზისტორული გადაცემები იყო  
მიმაგრებული. მიღებული ინფორმაციის საშუალებით დადგინდა,  
რომ ცხოველთა მეფის მთავარი დამახასიათებელი თვისება სიზარ-  
მაცე ყოფილა. მაგალითად, ერთმა ლომმა ოცდაერთ დღეში მხო-  
ლოდ ას ათი კილომეტრი გაიარა, ძილით კი დღე-ღამეში ოცი სა-  
თი ეძინა.

აბა, ვინ იფიქრებდა, ლომი ასეთი ძილისგუდა თუ იქნებოდა!

**ესაც მუწაუმიას!**

ქალაქ ვუპერტალის (გერ) მკვი-  
დრის — რობერტ პოტის მუწე-  
უმი ალბათ ერთ-ერთი ყველა-  
ზე ორიგინალური მუწეუმიას მსო-  
ფლიოში. პოტმა იგი 1982 წელს  
შექმნა და მას „სანაგვე ვედროს  
საგანძური“ უწოდა. საქმე ის  
არის, რომ პოტი წლების განმავ-  
ლობაში ხელმძღვანელობდა ვუპ-  
ერტალის დასუფთავების კანტო-

რას და, თავისი თანამდებობით რომ სარგებლობდა, პირდაპირ სა-  
ნაგვე ვედროებიდან იღებდა იქ მოხვედრილ სამუწეუმო ექსპონა-  
ტებს. ამ უცნაურ მუწეუმში დღესდღეობით შვიდათასამდე ექს-  
პონატია — შუასაუკუნეების დროინდელი ძვირფასი ხელნაწერები,  
ანტიკვარული ნივთები და სხვ.

**ბაბსენდატი..**

ავსტრიის დედაქალაქ ვენის არქივისიკოპოსმა კენიგმა ამას წი-  
ნათ შემდეგი რამ განაცხადა:

— რაკი გამოირკვა, რომ დედამიწა მართლაც ბრუნავს მზის  
გარშემო, ვატყავნა საგანგებო კომისია შეიქმნა გალილეს საქმის  
გადასასინჯავად. წინასწარ ვერაფერს ვერ ვიტყვი, მაგრამ, მგონი,  
არის აზრი, რომ გალილე გაამართლონ.

კარგი ნუგეშია, არა?!

**როგორც ხუთასი წლის წინათ...**

ქალაქ კუსკოში (პერუ) გაეთდა ოპერაცია, რომლის დროსაც  
პროფესორმა კუვარუბიასმა მედიცინის მხოლოდ ის მეთოდები და  
საოპერაციო იარაღები გამოიყენა, რომლებიც ამერიკის აღმოჩე-  
ნამდე, ინკების დროს არსებობდა პერუში. ნარკოზის ნაცვლად სი-  
მინდის დამაჰრებული წვენი იხმარა, სკალპელები ქალაქის მუწეუ-  
მიდან წამოღებული ინსტრუმენტებით შეცვალა, სადენინფექციოდ



უკაცმა ისახელა თავი, დაუნანებლად შესწირა სიცოცხლე საყვარელი სამშობლოს თავისუფლებასა და კეთილდღეობას. დღეს

ედღვნება ეს დოკუმენტური მოთხრობა.

სად მონადირე სდევს ჯიხვსა...

საარტაპ რეხვიაშვილი

ფოლკლორით დაინტერესებული ბავშვებისათვის უეჭველად კარგი საჩუქარია „ნაკადულის“ მიერ გამოცემული ეს წიგნი. მკითხველი მასში გაეცნობა ისტორიულად მდიდარი და უძველესი კულტურის მქონე მთის რაჭის ენთოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებს ნადირობაზე.



ყველა იცნობს ლესელიძეს, სხულუხიას, ზოია რუხაძეს, ბენდელიანსა და სხვათა სახელებს, მათ გმირობას. და თუმცა ბევრ გმირს მათსავით საქვეყნოდ არ გაუთქვამს სახელი, არც ოქროს ვარსკვლავით დაუმშვენებია მკერდი, მაგრამ მათი სიმამაცე და თავგანწირვა ჭეშმარიტად დიდების ღირსია.

ერთ-ერთ ასეთ გმირს — სევერიანე ბელქანიას

გამოიყენა ძველ ხელნაწერებში აღწერილი ნაწავი. როგორც ჩანს. პროფესორმა, მედიცინის გარდა, ისტორია, არქეოლოგია და ეთნოგრაფიაც კარგად იცოდა. ავადმყოფი განიკურნა. ეს უჩვეულო ოპერაცია ფეხიდან ხიწვის ამოსაღებად გაკეთდა...

დრო და ხის საათი

იპონელმა მექანიკოსმა კენდო ნობუხირომ 1728 წელს შექმნა ერთგვარი მანქანა. პირველად ვერც კი მიხვდებოდა, რომ ეს მანქანა საათია, რომლის ყველა ნაწილი ხისგან არის დამზადებული. იგი დღეს, თვეს, წელიწადსა და მთვარის ფაზებს აჩვენებს. ნობუხირომ მის გაკეთებას ხუთი წლის გულმოდგინე შრომა მოახდომა.

ამ ორიგინალურმა საათმა დროის გამოცდას შესანიშნავად გაუძლო — ორას ორმოცდაორი წლის განმავლობაში ერთხელაც არ შემცდარა.

„მონიარული“ კუნძული

ახალი შოტლანდიის (სამხრეთ აღმოსავლეთი კანადა) აღმოსავლეთით მდებარეობს პატარა კუნძული სიებლი. ამ კუნძულმა სახელი იმით გაიოქვა, რომ მუდმივად იცვლის ადგილს. იგი აღმოსავლეთისკენ მოძრაობს და უოველწლიურად 280 მეტრს გადის. 200 წლის მანძილზე სიებლიმ 42 კილომეტრი გაიარა. იცვლება მისი ფართობიც — ამჟამად იგი 8,5 კილომეტრით მეტია, ვიდრე XIX საუკუნეში იყო.







ვისაც ხშირად უხდება ძაბრით სარგებლობა, იცის, თუ როგორი „გაჯიუტება“ იცის ვიწრო-ყელიან ჭურჭელზე დაცობილმა ძაბრმა. გააკეთეთ მავთულსლართებისაგან ისეთი საბჯენი, როგორიც ამ ნახატზეა ნაჩვენები და საქმე ძალზე გაგიადვილდებათ.

რეზინის მილი შუაზე ისე ამოჭერით, როგორც ამ სურათზეა ნაჩვენები, მერე გაზის (მარწუხის) სახელურებს საიზოლაციო ლენტები დაახვეთ, და იმ სახელურებზე ამოჭრილი მილები წამოაცვით. რეზინი ზამბარის მავიერობას გასწევს და ხელსაწყო იოლი სახმარი იქნება, თანაც, ხელის დაწვეჭვის საშიშროებასაც აიცდენთ.

პატარა სახელურში წვერით ჩასობილი საკანცელარით კალამი კარგი საშუალებაა ბლის, ქლიავის, ღოღნაშოს, ალუბლის კურკების გამოსაცლელად.

ერთი შეხედვით სრულიად მოუხერხებელ კიბის სახელურს შეიძლება გაუკეთდეს კოხტა და მოსახერხებელი ჩამოსაჯდომი.

შხაპმა შეხეფები რომ არ გაფანტოს და სააბაზანო არ დაასველოს, ამისათვის სულ უბრალო რამ არის საჭირო. გააკეთეთ მავთულის კარკასი, ზედ მუშაგმა ან პლასტმასა შემოსხვიეთ და საშხაპეს თავზე ჩამოაცვით.





**305 უფრო მაღლა  
ახტება**

სვეტთან ან ხესთან და-  
დექი. ხელები მაღლა ას-  
წიე, ცერებზე აიწიე და  
ცარცით ან ნახშირით  
ზედ ნიშანი დაასვი. შემ-  
დეგ ოდნავ ჩაჭექი, ხე-  
ლები უკან გასწიე და,  
რაც შეგიძლია ახტი. ხე-  
ლი ასწიე და, სადაც მი-  
წვდები, მონიშნე. მერე  
ამ ორ მონიშნულ ხაზს  
შორის მანძილი გადაზო-  
მე და ჩაიწერე. შემდეგ

ბედს სხვა სცდის. ვისაც  
ქვედა და ზედა მონიშ-  
ნულ ადგილებს შორის  
მანძილი მეტი გამოუვა,  
გამარჯვებულიც ის იქნე-  
ბა. სიზუსტისათვის, გა-  
საზომად შეგიძლიათ სა-  
ხაზავი ან სანტიმეტრიანი  
ლენტი იხმაროთ. 10-11  
წლის ბავშვებისათვის  
კარგ ნახტომად ჩაითვლე-  
ბა 25 სანტიმეტრი, 12-13  
წლიანებისათვის — 30,  
14-15 წლის ბიჭებისა-  
თვის — 40, გოგოებისა-  
თვის — 30.

**305 უფრო  
ღონიერი**

ზურგშექცევით დადე-  
ქით და ერთმანეთს ხე-  
ლები გადასკვენით. წინ  
გაღმოიხარეთ და შეიცა-

დეთ მოწინააღმდეგე ზუ-  
რგზე წამოიკიდოთ, ან  
მიწას მაინც მოწყვიტოთ.  
ვინც ამას შესძლებს —  
გამარჯვებულია! დამარ-  
ცხებული თამაშიდან გა-  
დის და მის ადგილს სხვა  
იკავებს.

**ბურთობანა**

ბურთით უამრავი თამა-  
შია ცნობილი. ახლა ეს  
სცადეთ, ალბათ მოგეწო-  
ნებათ.

დადექით სწორ ხაზზე,  
ერთმანეთისაგან ხელის-  
გაშლის მანძილზე. ბურ-  
თი თანმიმდევრობით გა-  
დაეციეთ ერთმანეთს. ერთ-  
ერთი მოთამაშე თქვენს  
უკან დადგეს (წრეში შე-

სვლის უფლება მას არა  
აქვს) და ბურთის ჩაჭრა  
სცადოს. თუ ეს მოახერ-  
ხა, წრეში იმ ბავშვის ად-  
გილს დაიკავებს, ვისი  
მიზეზითაც ბურთი დაი-  
კარგა. წრიდან გასული  
კი ბურთს დაედევნება და  
ასე შემდეგ. ბურთის გა-  
დაცემა მხოლოდ და მხო-  
ლოდ გვერდში მდგომი-  
სათვისაა ნებადართული.

**კალიობანა**

გადაზომეთ 20-25 მე-  
ტრი მანძილი. დადექით  
სტარტზე. ნიშანი მიეციეთ.  
ცალ ფეხზე ხტუნვით  
ვინც უფრო მაღე მივა  
ფინიშთან, გამარჯვებუ-  
ლიც ის იქნება.

**ს ა კ ი ე ბ ე ლ ი**

ე. სახვადე — მათი თანამგზავრი (ნარკვევი) . . . . .	1	თ. გიორგაძე — ქადრაკი ულიანოვების ოჯახში (წერილი) . . . . .	25
ლ. რადიშჩევი — მოუსვი ნიჩაბი (მოთხრობა) . . . . .	4	რ. ჩაჩანიძე — მსუქანი ფერნანდო (მოთხრობა) . . . . .	26
გ. ნოზაძე — ულიანოვსკში სახლია (ლექსი) . . . . .	6	ყ ვ ა ე ი . და მ უ ხ ლ უ ხ ა (კამბოჯური არაკი. თარგმანი თ. ჯა- ვახიშვილისა) . . . . .	29
ტ. მებურიშვილი — ხუთი სურათი: მე წარმოვიდგენ; აქ (ლექ- სები) . . . . .	8	ახალი წიგნები — . . . . .	30
შ. დავითაშვილი — მყვალზე (მოთხრობა) . . . . .	9	ჯადოსნური სარკე . . . . .	30
ნ. უგრელიძე — ქართული მხატვრული მინის ისტორია (წერილი) . . . . .	16	გამოგადგები . . . . .	31
ე. რეინი — კინომოგზაურობა დედამიწის გარშემო (დოკუმენ- ტიური მოთხრობა. დასასრული) . . . . .	20	თამაშობები . . . . .	32
		ცხრაკლიტული . . . . .	3
		გარეკ.	3

გარეკანის 1-ელ გვერდზე — შ. ი. ლენინი. ი ა რ ო ს ლ ა ვ მ ა ნ უ ხ ი ნ ი ს გ რ ა ვ ი უ რ ა .

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია.  
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა ბაბუღია, ნოდარ გუგუშვილი, ჯუანხომ კვაკაცხელია,  
სამხრო კლდიაშვილი, მუხრან ლეგანიძე, ზურაბ ლეშაშვილი (პ/მგ. მდივანი), მარიკაინი,  
თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

<p>ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 93-94-98 93-31-81 სამგ. მდივნის 93-94-87 93-53-05 განყოფილებების — 93-94-29</p>	<p>საქ. კატეგორიის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14. «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14. გადაეცა ასაწყობად 18/II-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/III-69 წ. ქალაქის ფორმატი 60x90/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. პირბითი 4. შეკვ. № 586. ტირ. 103700. უფ. 00676.</p>	<p>ფასი 20 კაპიკი</p>
--	---	-------------------------------


რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.  
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

კ რ ი ს ე ო რ დ ი



ჯამი = 1000

ა-დან ბ-მდე ბევრი სხვადასხვა გზაა, მაგრამ მათ შორის ერთი გადის იმ წრეებზე, რომელთა ჯამიც 1000 უდრის. მოძებნე ეს გზა.



**მარტივალურად**  
1. მსოფლიოში ცნობილი სპორტული თამაში; 2. ევროპის ერთ-ერთი სახელმწიფო; 3. ალექსანდრე დიუმას — „სამი მუშაკეტერის“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირი; 4. კურორტი (ჩოხატაურის რაიონში); 5. მე-

ურ თამაშებზე ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებიდან ყველაზე ნორჩი სპორტსმენი; 13. ინდური მხატვრული ფილმი; 14. არქეოლოგიის ერთ-ერთი მამამთავარი. 19. ჩარჩოში ჩასმული მინა ანუ?; 20. საქართველოს ერთ-ერთი კუთხის მცხოვრები; 22. წრფის მონაკვე-


ის ერთ-ერთი რესპუბლიკა.

**პირიონტალურად**

6. ცნობილი დანიელი მოჭადრაკე; 7. თვე; 8. ტიან-შანის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქედი; 10. ბოლოში ნახვრეტიანი ფოლადის წკირი; 12. მოხეტიალე პლანეტა; 15. პოლონეთის ერთ-ერთი ქალაქი; 16. საქართველოს ერთ-ერთი ხეობა; 17. არგენტინის ერთ-ერთი ქალაქი; 18. დამნაშავეს პატიება ან სასჯელის შემცირება ხელისუფლების მიერ. 21. ქართული ხალხური ზღაპრის გმირი; 25. ქიმიური ელემენტი; 26. იტალიის სამხრეთით მდებარე კუნძული; 27. ზეთოვანი მცენარე; 28. თევზის სახეობა; 29. განთქმული ქართველი ფეხბურთელი; 30. სითბოს რაოდენობის გასაზომად დადგენილი განსაკუთრებული ერთეული.

**ვახტანგ ლორია,**

სამტრედიის რაიონის სოფ. ტოლემბის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.



ხიკოს ოლიმპიური თამაშების რეკორდსმენი სამხტომში; 9. გამოჩენილი ქართველი პოეტის გვარი; 11. XIX ოლიმპი-

თი, რომელიც წრეწირის წერტილს მის ცენტრთან აერთებს; 23. მთელ მსოფლიოში უმაღლესი ქედი; 24. დასავლეთ აფრი-

**გასაღები**

აქ გამოსახულია გასაღების 10 ჭრილი. როგორ გგონია, რომელ მათგანს მოერგება ეს გასაღები?




**როგორ გაყოფ?**


კასრში 10 ლიტრი წყალი ახსია, როგორ გაყოფ ამ წყალს ხუთ-ხუთ ლიტრად ორი დოქის საშუალებით, თუ ერთი დოქი სამლიტრიანია, მეორე კი — შვიდლიტრიანია?

პასუხი № 3-ში მოთავსებული ხსრაკლიგულზე

**მავსი ფანქარი.**



**305 უხრო სწრაზად უპასუხებს**




1. დიზელ-ელექტრომავალი ორთქლმავალი არ არის. ამიტომ კვამლი საერთოდ არ ექნებოდა.  
2. მხოლოდ ერთი საათი. მალვიძარა 8 საათზე იყო დაყენებული და, რომ და-

რეკა, საღამოს 8 საათი იყო.

3. 13 კენტი რიცხვი.

**აბტომუსის სიჩქარე**

კილომეტრების აღმნიშვნელ ბოძებზე ეწერა 61, 106 და 196. ავტომობუსის სიჩქარე საათში 45 კილომეტრი იყო.



სახლი გორაკაში.

# ლენინური აფილაკი

მხატვარი ვერა ბელუცკაია.


უაზანის უნივერსიტეტი, სალაც 1887 წ.  
სწავლობგლა ვ. ი. ლენინი.



სიმბირსაი, სახლი სალაც ცხოვრობლა ვ. ი. ლენინი ხუთი წლის ასაკაგლა.








სახლი გორაკში.


# ლენინური ადგილები

შატერის ვიზა ბელეცკაია.

უზუნის უნივერსიტეტი, სალც 1887 წ.  
სვამლოვლა ვ. ი. ლენინი.



სიზიკსაი, სახლი სალც ცემკოვლა ვ. ი. ლენინი ხუთი წლის ასაკამდე.



19/2/19